

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

ბერძნულ-რომაული ფილოლოგია

რამიშვილი ლანა

თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის ქართულენოვანი  
თარგმანები

ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი მედეა აბულაშვილი,  
ფილოლოგიის დოქტორი, თსუ მონვეული ლექტორი

თბილისი

## ანოტაცია

მას შემდეგ რაც კულტურული სამყარო არსებობს, მთარგმნელობითი საქმიანობის უზარმაზარი როლი საყოველთაოდ აღიარებულია. კულტურათა დიალოგი თარგმანის მეშვეობით თანამედროვე ეპოქაში კიდევ უფრო პრიორიტეტული ხდება. ჩვენი დროის ბესტსელერებზე მელანი შეშრობას ვერ ასწრებს, როდესაც მრავალ ენაზე, პარალელურ რეჟიმში, იქმნება დახვეწილი თარგმანები. თანამედროვე ქართული სკოლა, ამ მხრივ, შეზღუდულია და განვითარებას საჭიროებს. არადა, იმ ფონზე, როცა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით წარსდგა, აუცილებელია თარგმნის პროცესის ინტენსიურად წარმართვა. აქედან გამომდინარე, მთარგმნელობით საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემატიკაც უჩვეულო აქტუალობას იძენს. ჩვენი კვლევა ამ მნიშვნელოვან საკითხზე ერთგვარი გამომხატულება იქნება, ოღონდ, კომპეტენციისა და სამაგისტრო ნაშრომის ჩარჩოების შესაბამისად, ამჯერად, თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის ქართულენოვანი თარგმანებით შემოვიფარგლებით.

საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში არსებობდა ტრადიცია ბერძნული ენის საშუალებით, თანამედროვე მსოფლიო კულტურასთან ზიარებისა. მაშინ, როცა ძველი ბერძნულიდან თარგმნილ ტექსტებზე არაერთ მკვლევარს უმუშავია, თანამედროვე ბერძნულიდან თარგმნილ ნაწარმოებებზე ერთი სამეცნიერო სტატიაც კი არ არსებობს. ჩვენი კვლევა ამ სიცარიელის ამოვსების მოკრძალებული მცდელობა იქნება. ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როცა, დაწყებულია განხორციელება პროექტისა „ბერძნული ბიბლიოთეკა“, რაც სწორედ თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის ქართულენოვან თარგმანთა მთელი კასკადის შექმნას გულისხმობს.

ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ რამდენად ეყრდნობიან ახალი ბერძნული

ენიდან მთარგმნელები საქართველოში საუკუნეების განმავლობაში არსებულ ტრადიციებს და რამდენად უწყობენ ფებს თარგმნის თანამედროვე მოთხოვნებს.

## Annotation

The role of translation as the medium for cultural dialogue has become especially prominent nowadays. Contemporary best-sellers are translated into several languages almost simultaneously, immediately upon publication. However, the contemporary Georgian school of translation is somewhat limited in this regard and requires intensive development in terms of translation studies as well as practice. These challenges appear especially important considering Georgia's the Guest-of-Honour-country status at the forthcoming Frankfurt Book Fair. My Master thesis proposal attempts to at least partially address the mentioned cultural challenges by focusing on Georgian translations of Modern Greek literature.

Georgia enjoys a centuries-old tradition of participating in world cultural processes through the Greek language medium. While Georgian translations from ancient Greek have been thoroughly studied, it is hard to find even a single research paper on Georgian literary translations from Modern Greek. Aiming to fill the gap, this Master's proposal acquires particular importance against the recently started project *Greek Library*, envisaging the creation of a series of Georgian translations of modern Greek literature.

I will attempt to show to what extent translators from Modern Greek follow centuries-old Georgian translating traditions and how they attempt to align with modern requirements of translation.

## სარჩევი

შესავალი (თარგმანი და მისი მნიშვნელობა, მხატვრული თარგმანის მცირე ისტორია) .....	5
I თავი. მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებული მეთოდოლოგია და პრობლემატიკა... 9	9
II თავი. მხატვრული თარგმანის ისტორია საქართველოში.....	15
III თავი. თანამედროვე ბერძნული პოეზიის ქართულენოვანი თარგმანები.....	18
IV თავი. ბერძნული პროზაული ნაწარმოებების ქართულენოვანი თარგმანები.....	37
დასკვნა.....	58
გამოყენებული ლიტერატურის სია.....	60



## შესავალი (თარგმანი და მისი მნიშვნელობა, მხატვრული თარგმანი - მცირე ისტორია)

მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის დიალოგი, მით უმეტეს, კულტურული კომუნიკაცია ვერ შედგებოდა თარგმანის გარეშე. შესაბამისად, კაცობრიობის განვითარებაც უთუოდ შეფერხდებოდა თარგმნის პროცესის არარსებობის ფონზე.

არავინ იცის როლის გაუჩნდა პირველად ადამიანს თარგმნის მოთხოვნილება - იქნებ მაშინ, როცა, ბიბლიის მიხედვით, მამალმერთმა ბაბილონის გოდოლის მშენებლები განსხვავებულ ენებზე ალაპარაკა. (ძველი აღთქმა, თავი XI)

თარგმნა ერთ-ერთ უძველეს პროფესიად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ვინაიდან ამით ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-7 საუკუნეში ყოფილან დაკავებულნი. მამასადამე, თარგმანი ადამიანის ინტელექტუალური საქმიანობის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა რომელიც კვალიფიკაციასთან ერთად, დიდ ძალისხმევას მოითხოვს. (ი.მერაბიშვილი 2005:12)

იმთავითვე გავმიჯნავთ თარგმანს, როგორც სათარჯიმნო საქმიანობას (წერილობითსა (ოფიციალური თუ არაოფიციალური დოკუმენტებისა და მისთ.) თუ ზეპირს (სინქრონულსა თუ დიაქრონულს) და მხატვრული ნაწარმოების თარგმანს, როგორც ღრმა შემოქმედებით აქტს. წინამდებარე ნაშრომში ჩვენი ინტერესი სწორედ უკანასკნელ ფენომენზე ფოკუსირდება.

უძველესი დროიდან მოყოლებული მხატვრული თარგმანი ძალიან ბევრი მეცნიერის ინერესის სფეროს წარმოადგენს. არაერთი მნიშვნელოვანი შრომა თუ კვლევა, სტატია და ექსპერიმენტი მიეძღვნა მხატვრული თარგმანის დანიშნულებასა და აუცილებლობას.

ერთხელ, როდესაც ცნობილ კულტუროლოგს, ფილოსოფოსსა და მწერალს „უმბერთო ეკოს ჰკითხეს, თუ რომელია ევროპის მთავარი ენა – ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური, იტალიური და ა.შ.? ამაზე ეკომ უპასუხა, არც ერთი მათგანით, არამედ თარგმანია ევროპის მთავარი ენაო. ევროპის სახე შექმნა მისი შემადგენელი ხალხების კულტურების ურთიერთთარგმანმა და მასშია ევროპის მრავალფეროვნების, და ამდენად, მისი სიძლიერის საწყისი.“ [ზ. ქარუმიძე, 2017:116] ზუსტად იმავეს თქმა შეიძლება გაცილებით ვრცელ გეოგრაფიულ არეალზე - მსოფლიო სხვადასხვა კულტურათა ურთიერთთარგმანზე დგას და ამ პროცესში მხატვრულ თარგმანს სრულიად გამორჩეული ადგილი უკავია.

მხატვრული თარგმანის ისტორიას ცალსახად მივყავართ ანტიკურ წარსულთან. „ანტიკური ლიტერატურა იყო წყარო იდეისა და წყარო კულტურის აღორძინებისა“. „ანტიკური ბერძნული ლიტერატურის თარგმანში ძველმა რომაელებმა დაინახეს საკუთარი ენისა და ლიტერატურის განვითარების საშუალება.“ [გ. გაჩეჩილაძე 2014: 17-18] მხატვრული თარგმანის განსაკუთრებული მნიშვნელობაც ამ ეპოქაშივე გახდა საგრძნობი, რადგან ბერძნულიდან ლათინურად თარგმნის პროცესის კვალდაკვალ, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მდგომმა საბერძნეთმა არა მხოლოდ ახალ სიმაღლეზე აიყვანა, არამედ, არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ რომის კულტურული და იდეოლოგიური ექსპანსია შეძლო. (რ. გორდეზიანი 2005: 274) ანტიკურ ეპოქაში მთარგმნელები დედნის ტექსტს თავისუფლად ექცეოდნენ. მათთვის მნიშვნელოვანი იყო დედანი გადმოეცათ არა სიტყვა-სიტყვით, არამედ მკითხველისთვის ეჩვენებინათ დედნის აზრი და სიღრმე. მიუხედავად იმისა, რომ სასულიერო ხასიათის ტექსტებთან ისინი სიფრთხილეს იჩენდნენ, იყო შემთხვევები, როდესაც ბიბლიის ტექსტიც კი თავისუფალი თარგმანის წესითაა ნათარგმნი. (გ. გაჩეჩილაძე 2014: 18)

შუა საუკუნეებში თარგმანმა უფრო დიდი გეოგრაფიული სივრცე მოიცვა. ამ ეპოქაში, ლიტერატურული ნაწარმოების თარგმნასთან ერთად, განსაკუთრებით გაჩაღდა ბიბლიის

თარგმნა მრავალ ენაზე. ამ პერიოდის მთარგმნელები ბიბლიური წიგნების თარგმანისას განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდნენ. მაგალითად, ლათინური ტექსტების შესწავლისას იყენებდნენ ე.წ. გლოსირების წესს: ყოველ ლათინურ სიტყვას ეწერებოდა მისი შესატყვისი ადგილობრივ ენაზე. როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეების მნიგნობრები ქრისტიანულ ლიტერატურასა და ბიბლიურ წიგნებს განსაკუთრებული სიფრთხილით ეპყრობოდნენ. წმინდა წიგნების თარგმნისას ისინი სიტყვასიტყვითობის პრინციპს იყენებდნენ ხოლო საერო და მხატვრული ლიტერატურა ამ პეროდში სრულიად თავისუფლად ითარგმნებოდა. მათ მიმართ არ მოქმედებდა სიტყვა-სიტყვითი თარგმანის პრინციპი.

აღორძინების ეპოქაში კიდევ უფრო გაიზარდა თარგმანის მნიშვნელობა. იქმნებოდა ერთი და იმავე ტექსტის ალტერნატიული თარგმანები, ხელახლა ითარგმნებოდა კლასიკური ტექსტები, შესაბამისად, ჩნდებოდა კრიტიკული დამოკიდებულება არსებული ძველი თარგმანებისადმი. აღორძინების ეპოქაში თარგმანს უყურებდნენ, როგორც მნიშვნელოვან საშუალებას, რომელსაც შეეძლო სრულყოფილ და გაემდიდრებინა ახალი ენები. მართალია, განათლებულ ხალხში ინტერნაციონალური ურთიერთობებისთვის მთავარი ლათინური ენა იყო და თარგმანის ძირითად ენადაც ლათინური რჩებოდა, მაგრამ თარგმანები სრულდებოდა სხვა ენებზეც.

XVII-XVIII საუკუნეები - კლასიციზმის ეპოქაში თარგმანები ძირითადად წარმოადგენდნენ დედნების გადაკეთებას, ისინი რეალურად არ ასახავდნენ დედნის შინაარსს ხშირ შემთხვევაში იცვლებოდა ნაწარმოებთა არა მხოლოდ სტრუქტურა, არამედ სიუჟეტიც კი. ასეთი თარგმანები ესთეტიკურ სიამოვნებას ანჭებდა მკითხველს, ამიტომაც მათთვის სრულიად უინტერესო იყო დედანი. კლასიციზმის ეპოქის (XVII-XVIII საუკუნეები) მთარგმნელობითი პრაქტიკა, ძირითადად, ისევ რომაულ ტრადიციებს ეფუძნებოდა, თუმცა, „იფერებოდა“ თანადროული ეპოქის გემოვნებით. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე მომხდარმა ისტორიულმა ძვრებმა (განსაკუთრებით, საფრანგეთის რევოლუციამ) გამოაღვიძა ხალხის

ინტერესი სხვა ქვეყნების ლიტერატურული შემოქმედებისადმი და მეტად მოთხოვნადი გახდა პროფესიონალი მთარგმნელები. (გ. გაჩეჩილაძე 2014: 25-28)

XIX-XX საუკუნეები - განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამ პერიოდში გამრავლდა თეორიული ნაშრომები და შეიქმნა მრავალი შრომა მხატვრული თარგმანის შესახებ. XX საუკუნეში მსოფლიო ომებმა გამოიწვიეს თარგმანების გავრცელება დასავლეთში. ამ ეპოქაში, თარგმანმა კიდევ ერთი განსხვავებული და უცნაური ფუნქცია შეიძინა - მხატვრული ნაწარმოებების საშუალებით ხდებოდა მტრის შესწავლა, მისი ხასიათის გამოცნობა, მოსალოდნელი ნაბიჯებისა და რეაქციების პროგნოზირება. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი ხასიათდება როგორც მრავალრიცხოვანი თარგმანებით, ისე - თარგმნის მეთოდებთან დაკავშირებული ძიებებითა და ფართო დისკუსიებით. (გ. გაჩეჩილაძე 2014: 27-28)

მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებული მცირე ისტორიული ექსკურსი ნათელყოფს, რომ საუკუნეთა განმავლობაში, ლიტერატურულ ნაწარმოებთა პირველი თარგმანებიდან დღემდე მთარგმნელობით საქმიანობას აქტუალობა არ დაუკარგავს.

## IIთავი. მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებული მეთოდოლოგია და პრობლემატიკა

რა არის თარგმანი, როგორი უნდა იყოს იგი, რა მოეთხოვება მთავმწელებს, რა გზას უნდა დაადგეს იგი შემოქმედებით პროცესში, რა პრობლემებს შეიძლება წააწყდეს და რა მეთოდებით უნდა გაუმკლავდეს მას? - მსგავსი კითხვები, ბუნებრივია, იმ დროს და იმ ადგილას გაჩნდა, სადაც პირველი თარგმანები დაიბადა. შევეცდებით ვაჩვენოთ რა ტენდენციები და გამოწვევები იყო სხვადასხვა დროსა და სივრცეში თარგმნის მიმართულებით, რამდენად ასრულებდნენ მთავმწელები ეპოქის „დაკვეთას“, მიაგნო თუ არა განათლებულმა საზოგადოებამ თარგმანის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებულ პრობლემათა გადაჭრის გზებს, დაიხვეწა თუ არა მთრგმნელობითი კონცეფცია.

ვიდრე თარგმანის რაობასა და მეთოდოლოგიურ პრობლემატიკას განვიხილავდეთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ თარგმანმცოდნეობას ბოლო დრომდე არ ჰქონდა დამოუკიდებელი არსებობის უფლება ფილოლოგიური მეცნიერების დანარჩენ დისციპლინათა გვერდით. დღესაც, მეცნიერთა აზრი იყოფა, ნაწილი თარგმანის თეორიას ლინგვისტიკის, ნაწილი კი ლიტმცოდნეობის ქვედარგად მიიჩნევა. ეს გამოწვეულია იმით, რომ *„თარგმანის თეორიაა სარგებლობს როგორც ერთი, ისე მეორე დარგის ცნებითი აპარატით, კვლევის მეთოდებითა და ტერმინოლოგიით.“* [ნ. საყვარელიძე 2001:4]

თარგმანის რაობის შესახებ მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული. მეცნიერთა ნაწილი მთარგმნელობით საქმიანობას ორიგინალური ნაწარმოების შექმნის ტოლფასად მიიჩნევა. მაგალითად, თარგმანის თეორიის ცნობილი თეორეტიკოსი ა. ფიოდოროვი თარგმანის შემდეგნაირ განმარტებას გვათავაზობს: *„პროცესი, რომელიც სრულდება ფსიქიკური აქტის ფორმით და მდგომარეობს იმაში, რომ სიტყვიერი ნაწარმოები, რომელიც შეიქმნა ერთ-*

სანცის-ენაზე, კვლავ იქმნება მეორე-მთარგმნელ-ენაზე.“ თითქმის იმავეს ფიქრობენ გ. გაჩეჩილაძე და ი. კაპუინი, მათი აზრით, თარგმანის პროცესი თითქმის არ განსხვავდება ნაწარმოების შექმნისგან. ისინი მიიჩნევენ, რომ მწერალსა და მათარგმნელს შორის განსხვავებას სანცისი მასალა წარმოადგენს - მწერალი ცხოვრებისეული სინამდვილიდან იღებს ფაქტებს და ქმნის მხატვრულ ნაწარმოებს, მთარგმნელი კი უკვე ამ შექმნილი მხატვრული ნაწარმოებიდან კვლავ ქმნის ახალ მხატვრულ ნაწარმოებს, ოღონდ, სხვა ენაზე და განსხვავებული გამომხატველობითი საშუალებებით. (გ. წიბახაშვილი 2000: 16-17) ამიტომაც, ყოველი თარგმანი და, მათ შორის, მხატვრულიც, განმეორებაა ერთ ენაზე შექმნილი ნაწარმოებისა მეორე ენის მასალის საშუალებით. მხატვრული თარგმანის ძირითადი ამოცანაა შექმნას სრულფასოვანი მხატვრული მთელი ახალ ენაზე.

თარგმნის მეთოდოლოგიურ პრობლემებზე საუბრისას ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომელიც უძველესი დროიდან დღემდე დგას თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში ეს არის დაპირისპირება თარგმანის ორ სახეობას, თავისუფალ და სიტყვასიტყვით თარგმანებს შორის. საუბარი დავინწყით ანტიკური პერიოდიდან და პირველ ყოვლისა, უნდა ვახსენოთ ციცერონი - რომაელი პოლიტიკოსი, პოლიტიკური მოაზროვნე, ძველი რომის ყველაზე სახელგანთქმული ორატორი, რომელმაც თარგმნა ესქინესა და დემოსთენეს სიტყვები ისე, რომ ისინი ლათინური ენის ნორმებს მოარგო „თარგმანში მე შევინარჩუნე აზრი და წყობა სიტყვისა, მათი ფიზიონომია; სიტყვების შერჩევის დროს ვხელმძღვანელობდი ლათინური ენის ნორმებით. საქმის მიმართ ასეთი დამოკიდებულების დროს არ მიცდია, სიტყვა გადმომეცა სიტყვით, მე ვცდილობდი აზრის ერთიანობაში გადმოცემას ცალკეული სიტყვის, აზრისა და ძალის შენარჩუნებით. მე ვთვლი, რომ მკითხველი სიზუსტეს მომთხოვს არა ანგარიშით, არამედ წონით. (ხაზგასმა ჩვენია) ესქინესა და დემოსთენეს სიტყვები ისე ვთარგმნე, რომ ყველა მათი ღირსება გამოჩენილიყო თარგმანში, უფრო სწორად, მათი სიტყვების აზრი, როგორც ფორმით, შინაარსითა და მონაცვლეობით, ხოლო სიტყვები იმდენად, რამდენადაც ამის შესაძლებლობას მაძლევდა

ლათინური ენა”. [გ. გაჩეჩილაძე 2014: 17-18] ნათელია, რომ ციცერონი უპირატესობას თავისუფალი თარგმნის პრინციპს ანიჭებდა, მსგავსი დამოკიდებულება ჰქონდა თარგმანის მიმართ ჰორაციუსსაც. იგი მონა მთარგმნელებს უწოდებს მათ ვინც სიტყვა-სიტყვით თარგმნის ნაწარმოებს, ჰორაციუსი აბუჩად იგდებს ასეთ მთარგმნელებს. *„თუ არ ეცდები, სიტყვა-სიტყვით თარგმნო და ვითომ ერთგულად გაიმეორო, სანიმუშოდ რაც ავიღია და ვით უბრალო მიმბაძველი არ ჩახტები ისეთ ვინაობაში, საიდანაც ფეხის ამოყოფას სირცხვილის გრძნობაც კრძალავს და პოეტური თხზულების აგების წესიც.“* [ჰორაციუსი 1981: 19] მათმა ამგვარმა პოზიციამ დიდი გავლენა იქონია მომდევნო საუკუნეების მთარგმნელებზე. მაგალითად, ერთ-ერთი ცნობილი მთარგმნელი წმინდა იერონიმე (ახ.წ. IV საუკუნე) იმონშებს ციცერონის ავტორიტეტს ქრისტიანული ბიბლიის საკუთარი ლათინური თარგმანის შესატყვისებლად. მან თავისი მთარგმნელობითი სტრატეგია ჩამოაყალიბა წერილში *„De optimo genere interpretandi“*. იგი წერილში აცხადებდა, რომ გარდა წმინდა წერილისა, სხვა შემთხვევაში, იყენებდა თავისუფალი თარგმნის პრინციპს: *„ახლა მე არა მხოლოდ ვაღიარებ, არამედ სრული თავისუფლებით ვაცხადებ, ბერძნული ენიდან თარგმნის პროცესში - გარდა ცხადია, წმინდა წერილის შემთხვევისა, რომლის სინტაქსიც კი საიდუმლოებას ატარებს, მე ვემხრობი არა სიტყვასიტყვით, არამედ მნიშვნელობის თარგმანის ხერხს“*. [გ. გაჩეჩილაძე 2014: 20]

სწორედ ამ პერიოდიდან იღებს სათავეს ჩვენს დრომდე მოღწეული დებატები სიტყვასიტყვით და თავისუფალ, ფორმასა და შინაარსის თარგმანს შორის. მართალია, წმინდა იერონიმეს დებულება სიტყვასიტყვითი და თავისუფალი თარგმანის პირველ განმასხვავებლად ითვლება. თუმცა, იგივე იდეები შეინიშნება სხვადასხვა ქვეყნების მთარგმნელობით ტრადიციებში. მაგალითად, გოეთე საკმაოდ საინტერესოდ აყალიბებს მხატვრული თარგმანის ორი ფორმის შესახებ მოსაზრებას *„არსებობს თარგმანის ორი პრინციპი, ერთი მათგანი მოითხოვს უცხო ავტორის ჩვენთან გადმოსახლებას ისე, რომ შეგვეძლოს ჩვენი თანამემამულე დავინახოთ მასში. მეორე პირიქით, მოითხოვს*

გადავსახლდეთ ამ უცხოელთან და შევეგუოთ მისი ცხოვრების პირობებს.“ [დ. ფანჯიკიძე 1995: 61] საინტერესოა დანტე ალიგიერისა და როჯერ ბეკონის მოსაზრებები. ისინი მთარგმნელებს ენების სრულყოფილი შესწავლისკენ მოუწოდებდნენ, რათა მათ დედნის სწორი გაგების საშუალება ჰქონოდათ. აღორძინების ეპოქაში განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა თარგმანის ორ პრინციპს შორის. ეს ის პერიოდია, როდესაც დაიწყო ანტიკურობით (ლიტერატურით, ფილოსოფიით, ხელოვნებით) დაინტერესება. დაიწყეს ბერძნული და ლათინური ენების შესწავლა, დაპირისპირებამაც თარგმანის ამ ორ პრინციპს შორის კულმინაციას მიაღწია. იყო შემთხვევები როდესაც მთარგმნელები დედანს ერთგულობდნენ და იყო შემთხვევები როდესაც ისინი თავისუფალი თარგმანის წესს ირჩევდნენ. მაგალითად, გერმანელმა ჰუმანისტმა ალბერტ ფონ აიბმა რომაელი კომედიოგრაფოსის პლავტუსის კომედიები ისე თარგმნა, რომ მთავარ გმირთა სახელებიც კი შეცვალა, რათა ტექსტი თანამემამულეთათვის მარტივად აღსაქმელი ყოფილიყო.

კლასიციზმის ეპოქაში, ფრანგი განმანათლებლები თავისუფალი თარგმანის პრინციპს იყენებდნენ ინგლისელ მწერალთა და მოაზროვნეთა ნაწარმოებების თარგმნისას. მიუხედავად ამ ნაწარმოებთა პოლიტიკური მნიშვნელობისა, ისინი მაინც საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად, თავისუფალი თარგმანის პრინციპით სრულდებოდა. (გ. გაჩეჩილაძე 2014: 25-28)

XIX-XX საუკუნეები - როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვინაიდან ამ პერიოდში გამრავლდა თეორიული ნაშრომები და შეიქმნა მრავალი პრომა მხატვრული თარგმანის შესახებ. ამ კვლევებში მოცემულია ბოლო დრომდე შენარჩუნებული ბრძოლა სიტყვასიტყვითა და თავისუფალ თარგმანთა შორის. ამ პრომათაგან აღსანიშნავია: 1) ედმონ კარის წიგნი „თარგმანი თანამედროვე მსოფლიოში“ (1810); 2) პლაიერმახერის კლასიკური ტრაქტატი „თარგმანის სხვადასხვა მეთოდის შესახებ“ (1813); 3) თარგმნის თეორიის დარგში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრომად მიჩნეულია, ტიხო მომზენის პრომა „უცხოეთის პოეზიის გერმანულ ენაზე თარგმნის ხელოვნება“ (1858-1886); 4) მნიშვნელოვანია ასევე, კელერის პრომა „თარგმანის საზღვრების შესახებ“ (1892); 5) ბიზეს პრომა „რა არის

თარგმანი“ (1894); 6) ს. ვარტენსლენის შრომა „თარგმანის ფსიქოლოგიის შესწავლისათვის“ (1910); თარგმანის სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ურნალი „ბაბილონის“ გამოცემა, რომელიც ხუთ ევროპულ ენაზე იბეჭდებოდა. ასევე, მნიშვნელოვანი ნაშრომებია წერილების კრებული „თარგმანის შესახებ“ და ნიუ-იორკში 1964 წელს გამოცემული წიგნი სახელწოდებით „თარგმანის ხელოვნება და დანიშნულება“.

თარგმნის მეთოდოლოგიურ პრობლემებზე საუბრისას მეცნიერები და თარგმანის თეორეტიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ თარგმანის სიზუსტესა და სრულფასოვნებაზე. ისინი ადეკვატური თარგმანის წინაპირობად დედნისა და თარგმანის ენათა ზედმიწევით ცოდნას მიიჩნევენ. ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, იმ ისტორიული და სოციალური ვითარების შესწავლა, როდესაც შეიქმნა დედანი. კარგი თარგმანის მისაღებად, საკმარისია არა მარტო შინაარსობრივი სიზუსტე, არამედ დედნის წყობის, ფორმისა და სტრუქტურის ზუსტი ასახვა. კარგ თარგმანში მაქსიმალურად უნდა იყოს შენაჩუნებული ორიგინალის იერი. შლაიერმახერი ფიქრობდა, რომ: *„თარგმანის მკითხველი მხოლოდ მაშინ აღმოჩნდება ხოლმე დედნის ყურადღებიანი მკითხველის თანაბარ მდგომარეობაში, როდესაც შესაძლებლობა ექნება ენის სულთან ერთად იგრძნოს და თანდათან აღიქვას ავტორის თავისებური სული.“* [F. Schleiermacher: ÜBER DIE VERSCHIEDENEN METHODEN DES ÜBERSETZENS]

როგორც ლიტერატურის თეორეტიკოსები მიუთითებენ, 20-30 საუკუნის წინათაც უკვე დიდი მნიშვნელობა ექცეოდა თარგმანის ესთეტიკურობისა და ადეკვატურობის მხარეს და დღევნილიც ყოფილა თარგმანის ავკარგიანობის სამი ძირითადი საზომი: 1. აზრობრივი სიზუსტე 2. ემოციური ტოლფასოვნება 3. სტილისტური დახვეწილობა (გ. ნიბახაშვილი 2000: 26) კარგი თარგმანის შესახებ საკმაოდ საინტერესოა ფრანგი ფილოსოფოსის, მთარგმნელისა და პოეტის ეტიენ დილეს შეხედულებები. მან თავის წიგნში „ფრანგი ორატორი“ რამდენიმე თავი დაუთმო თარგმანის საკითხებს. მისი პრინციპები რამდენიმე

მუხლად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ 1. მთარგმნელი უნდა ფლობდეს ორივე ენას კარგად; 2. მთარგმნელმა სრულად უნდა გაიგოს ის ტექსტი, რომელსაც თარგმნის; 3. თუ ის თარგმნის უფრო განვითარებული ენიდან ნაკლებად განვითარებულზე, სულ უნდა ცდილობდეს განავითაროს და გაამდიდროს თავისი მშობლიური ენა; 4. მთარგმნელმა არ უნდა დაივიწყოს სათარგმნი ტექსტის სინარჩრე და ჰარმონიულობა, რადგან თარგმანმა მკითხველს უნდა განაცდევინოს სიხარული, როგორც სულიერად ისევე სმენითაც. აქ მნიშვნელოვანია აზრი იმის შესახებ, რომ მთარგმნელმა კარგად უნდა იცოდეს ორივე ენა, ვინაიდან თარგმანში წარმატების საწინდარია დედნისა და თარგმნის ენათა კარგი ცოდნა. ასევე საინტერესოა აზრი, რომ მთარგმნელი უნდა ეცადოს გაამდიდროს და განავითაროს თავისი მშობლიური ენა ორიგინალის შეწევნით. ამით დიდი ფართოდ გაუხსნა გზა მთარგმნელებს „გაასწორონ და გააუკეთესონ“ ორიგინალის ტექსტი თარგმანში, თუმცა მთარგმნელობითი ეთიკის დაცვით, მთარგმნელმა მკითხველს უნდა მიანოდოს დედანთან მაქსიმალურად მიახლოებული თარგმანი. ინტერპრეტაციის, დედნის „გადაკეთების“ თავიდან ასაცილებლად და კარგი თარგმანის მისაღებად მან თავდაპირველად უნდა აარჩოს ისეთი სათარგმნი მასალა, რომლის დამუშავება და ახალი ენობრივი სამყაროსთვის მორგება ბუნებრივად განხორციელდება. მთარგმნელს მოეთხოვება სათარგმნი ტექსტის წინასწარი შესწავლა და ეკვივალენტთა ძებნა-დადგენის სისტემის შემუშავება.

მხატვრული თარგმანის თეორიის ძირითად ამოცანას თარგმანის ადეკვატურობის განსაზღვრა წარმოადგენს. ადეკვატური თარგმანის შესრულება კი მარტივი საქმე არაა, იგი მოითხოვს დიდ შრომისმოყვარეობას, ენერგიას, მთარგმნელობითი საქმიანობისადმი დიდ სიყვარულს და უწინარესად დიდ პასუხისმგებლობას, ვინაიდან თარგმანში დაშვებულმა უზოსტობებმა შეიძლება გავლენა იქონიოს ენის ლიტერატურულ ნორმებზე. გოეთე ბრძანებდა: „მთარგმნელი ემსახურება არა მარტო თავის ერს, არამედ იმ ერსაც, რომლის ენიდანაც თარგმნის ნაწარმოებს“.

ადეკვატური და სრულფასოვანი თარგმანის წინაპირობა გულისხმობს არა დედნის აბსოლუტურად სრულ განმეორებას თარგმანში, არამედ მის სწორ ასახვას, ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრინციპს, რაც თარგმანის ხელოვნების მეთოდოლოგიური წინამძღვარი გახლავთ. (Я. И. Рецкер 2007: 10-13) მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ხდება თარგმანი ორგანული და ახლობელი მკითხველთათვის, მას უჩნდება შეგრძნება იმისა, რომ კითხულობს მშობლიურ ენაზე შექმნილ ნაწარმოებს და არა თარგმნილს.

## II თავი. მთარგმნელობითი ტრადიცია საქართველოში

*„იგავიანი სიტყვის განცხადებას“* უწოდებს სულხან-საბა ორბელიანი თარგმანს. [ს. ორბელიანი 1993: 157] - ისტორიულად „თარგმანში“ იგულისხმებოდა ის, რასაც დღეს განმარტებას, გაგებას, ინტერპრეტაციას ვუწოდებთ. თარგმანის ცნების გაგების შინაარსობრივ ცვლილებას საქართველოში ნათლად ასახავს თანამედროვე „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“: „ერთი ენიდან მეორეზე გადაღებული ტექსტი ან სიტყვა“ [ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1955, IV, 340]

მსოფლიო ლიტერატურის შედეგები ყველა ეპოქაში იქმნებოდა და ძალიან მცირე დროში იწერებოდა ამ ნაწარმოებთა შესანიშნავი თარგმანები უკვე ქართულ ენაზე თანაც, იმგავრი ოსტატობით, რომ თითოეული მათგანი საზღვარგარეთული მწერლობის გენიალურ ნიმუშადაც რჩებოდა და სრულფასოვან ქართულ ძეგლადაც იქცეოდა. ნათარგმნი ლიტერატურა ჩვენი კულტურის განუყოფელი ნაწილი ხდებოდა. არაერთი თარგმანი იმდენად ახლოს მოსულა აქაური სინამდვილისთვის დამახასიათებელ მხატვრულ სახეებთან, რომ ნაწარმოების ქართულ წარმოშობაზე დაუწყიათ მსჯელობა. ზოგიერთი წიგნი მხოლოდ ჩვენს ენაზეა შემორჩენილი, მათი ორიგინალი კი დაკარგულია.

მთარგმნელობითი ტრადიცია საქართველოში მე-4 საუკუნიდან იღებს სათავეს. არსებობდა თეოლოგიურ-ფილოსოფიური, მთარგმნელობითი და სამონასტრო სკოლები. საგანმანათლებლო კერები იყო იყალთოში, გრემში, შიომღვიმეში. ეს ის ადგილებია, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობდა მთარგმნელობითი პროცესი. ითარგმნებოდა ბერძნული, ბიზანტიური ლიტერატურა. როდესაც ვსაუბრობთ მთარგმნელობით ტრადიციაზე საქართველოში შეუძლებელია არ ვახსენოთ: გიორგი მთაწმინდელი, ექვთიმე და გიორგი ათონელები, იოანე პეტრიწი, ეფრემ მცირე, რომელმაც ათონის სალიტერატურო სკოლის მთარგმნელობითი ტრადიციები თვისობრივად ახალ საფეხურზე აიყვანა. თარგმნილი ძეგლების მიხედვით, ძველი ქართველების კულტურული ურთიერთობის არედ, უპირველეს ყოვლისა, წარმოგვიდგება ბიზანტია, არაბეთი, ირანი, სომხეთი, სირია, პალესტინა. (გ.გაჩეჩილაძე, 2014:67) ამ პერიოდის ქართველი მთარგმნელებს, როგორც აღნიშნავს კ. კეკელიძე, უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდათ მკითხველისთვის დედნის აზრის მიწოდება, ვიდრე მისი სტილის ზუსტი დაცვა. ამ პერიოდის თარგმანებში ხშირად გვხვდება დედნის ტექსტის განვრცობა, ამით მთარგმნელები ცდილობდნენ ზედმიწევნით ზუსტად გადმოეცათ დედნის აზრი. (კ. კეკელიძე, 1951: 174-175) თარგმანის გავრცობას, ე.წ. „გადაკეთებას“ მაშინაც მიმართავდნენ მთარგმნელები, როდესაც ფიქრობდნენ, რომ გარკვეული მონაკვეთი მკითხველზე არასასურველ შთაბეჭდილებას მოახდენდა. ამის საპირისპიროდ, გვხვდება ისეთი თარგმანებიც, რომლებიც ზუსტად ასახავენ დედანს, ფორმითა და შინაარსით არიან დედნის ადეკვატური. ერთ-ერთ ასეთ თარგმანად კ. კეკელიძე მიიჩნევს ჰაგიოგრაფიული ლიტერატურიდან - სახარების ტექსტს, რომელშიც დაცულია არა მარტო შინაგანი აზრი და გარეგანი ფორმა, არამედ ის ამალღებული სტილიც, რომელიც სპეციფიკურ უღერადობას სძენდა ტექსტს და მკითხველზეც შესაბამის შთაბეჭდილებას ახდენდა, ხოლო საერო ლიტერატურიდან - „ქიქილა და დამანას“. აღსანიშნავია, რომ საერო ლიტერატურის თარგმნისას მთარგმნელები ძირითადად ნაწარმოების სიუჟეტით ინტერესდებოდნენ, ისინი სათარგმნად არჩევდნენ ისეთ ლიტერატურას, რომლიც სიუჟეტის ქართველი მკითხველისთვის საინტერესო იქნებოდა.

ბუნებრივია, ქართული ლიტერატურული თარგმანი მთელი ამ საუკუნეების განმავლობაში უწყვეტად ვითარდებოდა. უკანასკნელ ხანებში საქართველოს კულტურული ურთიერთობის არე მნიშვნელოვნად გაიზარდა და მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიცვა, (ეს მთარგმნელობითი ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნებთან სრულიად სხვადასხვაგვარია) თუმცა, მიუხედავად ამისა, დღესდღეობით სახარბიელო მდგომარეობა მაინც არ გვაქვს. ფაქტობრივად არ არსებობს მთარგმნელობითი სკოლები, სათანადოდ არ მიმდინარეობს თარგმანის კვლევა და სწავლება. ამან გამოიწვია ის, რომ ქართულ ენაზე არ გვაქვს ისეთი მსოფლიო კლასიკოსების თხზულებები, რომელთა თარგმნაც ქვეყნის კულტურის ღირსების საკითხია. სასურველი იქნებოდა, მეტად განვითარებულიყო მხატვრული თარგმანის საუნივერსიტეტო სწავლება და მეტი ყურადღება დაგვეთმო პრაქტიკული საქმიანობისთვის. აუცილებელია, რომ ხელი შევწყოს თარგმანის კრიტიკისა და სამეცნიერო დარგების განვითარებას. (ქართულ ენაზე 1991 წლიდან მიმდინარე მთარგმნელობითი პროცესის მიმოხილვა) არადა, მაშინ, როცა საქართველომ ადგილი დაიკავა ლიტერატურულ რუკაზე და 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საპატიო სტუმრის სტატუსით წარსდგა, აუცილებელია თარგმანის პროცესის კომპეტენტურად, ადეკვატურად და ინტენსიურად წარმართვა.

### **III თავი. თანამედროვე ბერძნული პოეზიის ქართულენოვანი თარგმანები**

საქართველოსა და საბერძნეთს ლიტერატურული თარგმანის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აკავშირებთ. აქ ბერძნული ენიდან თარგმნის გამოცდილება ჯერ კიდევ ბიზანტიური ეპოქიდან არსებობს. ქართული სალიტერატურო ენის ადრეულ საფეხურზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ბერძნულს მოუხდენია, რადგანაც ბერძნულ სამყაროსთან საქართველოს ძალზე მჭიდრო კავშირი ჰქონდა. ქართულ ენაზე ითარგმნა IV–XII საუკუნეებში ბერძნული სასულიერო და ფილოსოფიური ლიტერატურის დიდი ნაწილი, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა კულტურულ ურთიერთობაზე. ბერძნულიდან ნასესხები ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილი შემოსული იყო ბეჭიური გზით. ბერძნული ენიდან დიდძალი ლიტერატურის თარგმნა ქართულად ხელს უწყობდა და ხვენდა სალიტერატურო

ენას. იქმნებოდა სამეცნიერო ტერმინები. ბერძნულმა ენამ ქართულ სალიტერატურო ენაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა და მნიშვნელოვნად განავითარა იგი.

დღეს, მიუხედავად თანამედროვე მსოფლიოში თარგმნის აქტუალობისა, არაერთი შესანიშნავი ნაწარმოები ქართველი მკითხველისთვის უცნობია ან, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ მისი რუსული ვარიანტია ხელმისაწვდომი. ახალი ბერძნული პროზისა და პოეზიის ნიმუშებიც მრავალ ენაზეა გავრცელებული, ჩვენმა მკითხველმა კი თითქმის არაფერი უნცის მათ შესახებ. არადა, ზოგიერთი მათგანის როლი და ფასეულობა მართლაც დიდია. ქართულ-ბერძნული მთარგმნელობითი ურთიერთობის ტრადიციები აღდგენას მოითხოვს. ამ მიმართულებით ერთგვარი სასიკეთო ტენდენცია უდავოდ შეინიშნება.

ვინაიდან ჩვენი ნაშრომი თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის ქართულენოვანი თარგმანებისადმი მიძღვილი, მიმოვიხილავთ როგორც პოეტურ, ისე პროზაულ თარგმანებს. დავინყოთ პოეტური თარგმანებით.

პოეზიის თარგმნა უკვე დიდი ხანია უთანხმოების საგნად არის ქცეული, რადგან განსაკუთრებით რთულია პოეტური ნაწარმოების თარგმნა. პოეზიის თარგმნისას მთარგმნელს ხშირ შემთხვევაში საკუთარი ინტერპრეტაცია შეაქვს ნათარგმნში. ზოგჯერ იგი ვერ უმკლავდება თავის პოეტურ შთაგონებას და პოეტურ ექსტაზში შეჭრილი, თავისი ფანტაზიით უმატებს სტროფებს, ზოგჯერ განუსაზღვრელად და ვლტულობთ სრულიად ახალ ნაწარმოებს. პოეზიის თარგმნის დროს აუცილებელია მუდმივი ბრძოლა საკუთარ თავთან ისე, რომ არ შეიცვალოს დედანში არაფერი და მიაღწიო აზრის პოეტური გამოხატვის მაღალ დონეს. გარდა ამისა, პოეზიას მწყობრი რიტმი ახასიათებს, რის გამოც მისი თარგმნა ბევრად რთულია ვიდრე პროზისა. ზოგიერთი თეორიტიკოსი პოეტური ნაწარმოების თარგმნას შეუძლებლადაც კი მიიჩნევს. პოეტური თარგმანის შესახებ საკმაოდ სკეპტიკური შეხედულებები გამოთქვას დანტე ალეგიერმა, მიგელ დე სერვანტესმა. მაგალითად, დანტე ფიქრობდა, რომ ლექსს რაღაც განუყოფელი, ორგანული აკავშირებდა მის შემქმნელ

ენასთან, ამიტომაც მას შეუძლებლად მიაჩნდა, პოეზიის თარგმნა ისე, რომ არ დარღვეულიყო ლექსის ჰარმონიულობა. (გ.გაჩეჩილაძე 1966: 24) საკმაოდ სკეპტიკურია ანტიკური პოეზიის მთარგმნელის ვილჰელმ ჰუმბოლტის შეხედულებები არა მარტო პოეტური, არამედ ზოგადად თარგმანის შესახებ, იგი თარგმანს შექმნას მთარგმნელის ამაო მცდელობად მიიჩნევდა. [https://www.jstor.org/stable/44306704?seq=1#metadata\\_info\\_tab\\_contents](https://www.jstor.org/stable/44306704?seq=1#metadata_info_tab_contents)

პოეზიის თარგმნა საბერძნეთშიც უთანხოების საგნად არის ქცეული. ბერძენ მკითხველს საკმაოდ დიდი მოთხოვნილებები აქვს, ხოლო თარგმნილი ლექსების მოცულობა კი შედარებით მცირეა, ვინაიდან ამ საპასუხისმგებლო საქმეს ყველა სიტრთხილით ეკიდება. კითხვის ნიშნის ქვეშ არის მოქცეული თუ ვის შეუძლია? ვინ არის უფლებამოსილი და კომპეტენტური თარგმნოს პოეზია? ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს უამრავი მოსაზრება. ბერძნულ მთარგმნელობით რეალობაში ფიქრობენ, რომ პოეზია უნდა ითარგმნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ პოეტების მიერ. მათ მიაჩნიათ, რომ ლექსის თარგმნა არ არის მხოლოდ უბრალო თარგმანი, ეს არის შემოქმედება, ეს არის ახალი ლექსის შექმნა, რომელშიც სრული სიზუსტით აისახება თავდაპირველი ქმნილების სულისკვეთება. ზოგადად თარგმნისას, განსაკუთრებით კი პოეზიის თარგმნისას საჭიროა ენის სრულყოფილი ცოდნა, ტექსტის ნათლად გადმოცემა და მორგება არსებული კულტურული გარემოსთვის, პროპორციების დაცვა, სიტყვების შერჩევს პროცესი და სხვა. რაც შეეხება ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, რომ პოეზია მხოლოდ პოეტების მიერ უნდა ითარგმნებოდეს, მრავალჯერ გამხდარა დავის საგანი, ამას ადასტურებს ელიტისის, სეფერისის, კაზანძაკისის მაგალითები. კრიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ელიტისის თარგმანები შესრულებული იტალიურ ენაზე სრულყოფილია, ნაწილი კი, იტალიური ენის დეფიციტს განიცდის მისი თარგმანების კითხვისას. ფრანგი პოეტი პოლ ვალერი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ პოეტში თავისთავად უკვე იგულისხმებოდა მთარგმნელი: „τοποθετημένος μεταξύ του όμορφου ιδανικού του, που ακόμα δεν έχει πάρει μορφή, και του

τίποτα, οποι τής αποτελεί ένα είδος μεταφραστή“.  
(<http://www.enl.auth.gr/translation/PDF/Mantzouranis.pdf> )

სწორია თუ მცდარი ეს შეხედულებები ჩვენ ამაზე აღარ შევჩერდებით, ვინაიდან ეს საკითხი საუკუნეების განმავლობაში ანუხებდა საზოგადოებას, თუმცა, დღემდე უპასუხოდ რჩება. მოკლედ გვინდა მიმოვიხილოთ თუ როგორი სიტუაციაა მთარგმნელობითი კუთხით საქართველოსა და თანამედროვე საბერძნეთს შორის, კონკრეტულად როლის დაიწყო ახალი ბედნული პოეზიის თარგმნა და რომელი ნაწარმოებებია ამ დროისთვის თარგმნილი.

*„ბერძნული ლიტერატურა მსოფლიო კულტურის განუყოფელი და უმნიშვნელოვანესი ნაწილია. განსაკუთრებით საინტერესო და ახლობელია იგი ქართველთათვის. ეს ინტერესი საქართველოსა და საბერძნეთს შორის ოდითგანვე არსებული ისტორიული, პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული ურთიერთობების გარდა, ამ ორი ხალხის დიდი სულიერი სიახლოვეთაცაა განპირობებული. ქართულ საგანმანათლებლო კერებში ჯერ კიდევ ადრეული ხანიდან ითარგმნებოდა და ისწავლებოდა ბერძნული ლიტერატურული, რელიგიური თუ ფილოსოფიური ტექსტები. თუმცა, თუკი ძველ ბერძნეთა შემოქმედებას კარგად იცნობს ქართველი მკითხველი, თანამედროვე ბერძნული ნაწარმოებების თარგმანებით იგი განებივრებული არ არის“.* [თ. გამრეკელი, 2005:17]

აღბათ არაფერში ისე მძაფრად არ აღიბეჭდება ამა თუ იმ ხალხის კულტურული იდენტობა და ეპოქის გამოძახილი, როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებში. თარგმანის მეშვეობით ხდება არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნისა თუ ლიტერატურული მიღწევების გაცნობა, არამედ საკუთარის გამდიდრებაც. არ არის ადვილი წერო ენაზე, რომელზედაც მსოფლიო ლიტერატურის შედევრებია შექმნილი, თუმცა უფრო რთულია გააკეთო თარგმანი ასეთი ენიდან ისე, რომ მან არ დაკარგოს თავისი ესთეტიკური ღირებულება.

ახალ ბერძნულ ენაზე შექმნილი ნაწარმოებები, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მრავალ ენაზეა თარგმნილი ჩვენში მხოლოდ ახლა ითარგმნება, არადა მათი გადმოთარგმანება

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შესაბამისი სპეციალობის სტუდენტებისათვის არამედ მკითხველთა ფართო წრისთვის და, რაც მთავარია, ორიგინალური ლიტერატურის განვითარებისათვის.

არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ჩვენმა ინსტიტუტმა ბერძნულიდან თარგმნის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის გაგრძელებაში უკვე თავისი სიტყვა თქვა. ქართველი მკითხველისთვის ცნობილია ნანა ტონიას, ვია ხომერიკის, ბაჩანა ბრეგვაძის, დავით წერედიანის და სხვათა ძველი ბერძნულიდან შესრულებული თარგმანები.

აშკარაა, რომ ახალი ბერძნული ფილოლოგიის მიმართულებამაც უკვე გარკვეული სამუშაო გასწია, რადგან როცა ლაშა ბულაძე, დათო ტურაშვილი, რატი ამალლობელი და სხვა განათლებული ქართველი მკითხველები საუბრობენ ევროპულ ლიტერატურაზე, ისინი ახსენებენ კავაფისს, ელიტისს, მონტისს, რომლებსაც სწორედ ქართული თარგმანებით იცნობენ.

ახალი ბერძნული ლიტერატურის ქართულენოვანი თარგმანები დღესდღეობით შემდეგი წიგნებით შემოიფარგლება:

- კაზანძაკისი ნ., ასკეზა, ახალბერძნულიდან თარგმნა თამარ მესხმა, 1997;
- ელიტისი ო., ლექსები, თარგმანი ხათუნა მონიავასი, 1998;
- ახალბერძნული პოეზია, გიჟმაჟი ბრონეული, თარგმანი იზა ორჯონიკიძისა, 1999;
- კავაფისი კ., კედლები, თარგმანი ანდრო ბარნოვისა, 1999;
- ბერძნული ხალხური სატრფიალო სიმღერები, თარგმანი მედეა აბულაშვილისა, 1999;
- პაპადიმანდისი ა., მკვლევარი თარგმანი მზია ებრალიძისა 2001;
- თანამედროვე ბერძნული მოთხრობის ანთოლოგია, 2003;
- კავაფისი კ., სულის სახლში, თარგმანი იზა ორჯონიკიძისა, 2005;
- მონტისი კ., ლექსები, თარგმანი სოფიო შამანიდისა, 2006;
- თანამედროვე ბერძნული პოეზიის ანთოლოგია, მთარგმნელთა ჯგუფი, 2007;

- ნოლასი დ., მაგიური ფოტინე, თარგმანი ანი უძილაურისა, 2010;
- სამარაკისი ა., (მოთხრობები) - თარგმანი მაია კილაძისა, 2014;
- კაბანელისი ი., წერილი ორესტესს- ახალბერძნულიდან თარგმნა სოფიო შამანიძმა 2014;
- დიმიტრიადისი დ., ვკვდები როგორც ქვეყანა თარგმანი თათია მთვარელიძესი, 2015;
- ელიტისი ო., შვიდი დღე მარადისობისთვის თარგმანი მაია კაკაშვილისა, 2015;
- კაბანძაკისი ნ., ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის, ახალბერძნულიდან თარგმნა მაია კაკაშვილმა, პროგრამა „ლოგოსი“, თბილისი, 2015;
- სეფერისი გ., შემობრუნება, თარგმანი მაია კაკაშვილისა, 2015;
- თარგმანების მოზაიკა , თბილისი, 2016;
- დიმულა კ., შავი ჰალსტუხი, თარგმანი თათია მთვარელიძესი, 2017;
- კაბანძაკისი ნ., უკანასკნელი ცდუნება, თარგმანი თათია მთვარელიძესი, 2018;
- კაბაკანძაკისი ნ., ბერძენი ზორბა, თარგმანი მაია კაკაშვილისა, 2018;
- ხაძიანიდის ვ., ოთხი კედელი, თარგმანი მაია კილაძის, 2018;

ნაშრომში ყურადღებას არ გავამახვილებთ ისეთ მთარგმნელებზე, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ერთი-ორი ნათარგმნი ნიმუშით, შევეხებით იმ მთარგმნელებს, რომლებმაც ამ სფეროში გაკვეული გამოცდილება აქვთ დაგროვილი.

მთარგმნელთა შორის ყველაზე ღვანლმოსილია იზა ორჯონიკიძე, პირველი სიტყვა სწორედ მან თქვა ახალი ბერძნულიდან თარგმნის სფეროში. მიუხედავად ჩვენი დიდი პატივისცემისა ქალბატონი იზას, როგორც პოეტისა და მთარგმნელის მიმართ, არ შეგვიძლია არ გამოვთქვათ რამდენიმე კრიტიკული მოსაზრება:

თუკი გადავხედავთ ქალბატონი იზას თავდაპირველ თარგმანებს, ვნახავთ, რომ ისინი ძალიან შორსაა დედნისგან. ვფიქრობთ, ეს, პირველ რიგში, განპირობებული იყო ბერძნული ენის არასრულყოფილი ცოდნით. როდესაც გავეცანით ბერძნული პოეზიის

რუსულენოვან თარგმანებს, რომლებიც შესულია „Всемирная литература“-ს ერთ-ერთ ტომში გაჩნდა მოსაზრება, რომ იმა ორჯონიკიძე თარგმნის პროცესში სწორედ რუსულ თარგმანებს ეყრდნობოდა, და არა ბერძნულს, როგორც ეს აღნიშნულია მისი კრებულის თავფურცელზე. თუმცა, მისი მომდევნო კრებული - კონსტანტინოს კავაფისი „სულის სახლში“ უკვე საკმაოდ ახლოს დგას ორიგინალთან და ეჭვს არ ბადებს, რომ პოეტს წინ ედო დედნიდან პროფესიონალურ დონეზე შესრულებული სიტყვასტყვითი თარგმანი.

აქვე დავძენთ, რომ იმ თარგმანებშიც კი, როდესაც იმა ორჯონიკიძე ახლოს დგას ორიგინალთან, მაინც ვერ უმკლავდება საკუთარი პოეტური შთაგონების მოწოლას და სუბიექტური, „თავისი“ შეაქვს წინამდებარეში.

შეუძლებელია არ აღვნიშნოთ ელიტისის ლექსი „Τρέλη Πόδια“ ანუ „გიჟმაჟი ბრონეული“, რომელიც ლექსების კრებული სათაურადაც აქვს გამოტანილი მთარგმნელს. შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ამ ლექსის თარგმანი მთლიანად შეცდომაზეა აგებული: ორიგინალის მიხედვით, პოეტი დაეძებს გიჟმაჟ ბრონეულს, იმა ორჯონიკიძეს კი იგი უკვე უპოვია და ყოველ სტოფში დაუინებით გვიმტკიცებს, „ეს ის გიჟმაჟი ბონეულია“.

იმ შემთხვევაში, როდესაც ერთსა და იმავე ლექსს თარგმნიან იმა ორჯონიკიძე, ანდრო ბარნოვი, გიორგი წულაძე, ჩვენი სიმპატია ახალგაზრდა მთარგმნელებისკენ იხრება. ამკარაა, რომ ისინი ძალიან კარგად ფლობენ ბერძნულ ენას, არ დალატობთ პოეტური ალლო, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ორჯონიკიძისეული თარგმანი სცილდება ორიგინალს, ჩემთვის როგორც ქართველი მკითხველისთვის, შესაძლებელია ეს უკანასკნელი უფრო მისაღები იყოს ვინაიდან წარმომიდგენია, რომ ემოციის იმავე სიმძაფრეს იწვევს, რასაც დედანი ბერძენ მკითხველში. მაგალითად, ცნობილი ბერძენი პოეტის ნიკიტოროს ვრეტაკოსის ლექსი „Συρόδεξα Νεκρούς“ ქართულ ენაზე ნათარგმნია იმა ორჯონიკიძისა და გიორგი წულაძის მიერ, არც ერთი მთარგმნელი არ არის აცდენილი ორიგინალს, თუმცა ქალბატონი იმა ორჯონიკიძის თარგმანი უფრო მაღამხატვრული და

ემოციურია. მაგალითად, წულაძეს დედნიდან თითქმის სიტყვა სიტყვით გადმოაქვს და წერს: „სათლავის ქვაზე ვტოვებ წარწერას“, მაშინ როცა იზა ორჯონიკიძე წერს: „ქვაზე ფრჩხილებით ამოგვანრავ“. მიუხედავად იმისა, რომ დედანში მსგავსი სიტყვები ნახსენები არ არის, მთარგმნელის ეს ქმედება, სულაც არაა გამაღიზიანებელი მკითველისთვის, პირიქით, ლექსს ემოციასა და სიმძაფრეს მატებს.

მართალია, შესაძლებელია შემოქმედი მეორე შემოქმედის ნიჭით ანთოს და თავისი სუბიექტური შეიტანოს წინამდებარეში, თუმცა, თარგმნის პროცესი საჭიროებს ზომიერებას და ერთგვარ ფილოლოგიურ დისციპლინას. იზა ორჯონიკიძის შემთხვევაში ხშირად გვიჭირს ამოვიცნოთ ბერძენი ავტორი და ნათარგმნი იზა ორჯონიკიძის პოეტური შემოქმედების ერთ-ერთი ნიმუში გვგონია.

აღბათ, პოეტების პრობლემაა ის რომ მათ უჭირთ დაძლიონ ორიგინალიდან გამონვეული შთაგონება და მის ბაზაზე არ შექმნან საკუთარი პოეტური ნაწარმოები. ბერძნული პოეზიის ქართულენოვანი ანთოლოგიის მიხედვითაც აშკარაა, რომ პოეტები შოთა იათაშვილი და ქეთევან ნიჟარაძე მსგავსი დილემის წინაშე დგანან და, ზოგ შემთხვევაში, მათ არჩევანი საკუთარი პოეტური მუზის სასარგებლოდ გააკეთეს, რითაც ერთგვარად „დააზიანეს“ დედანი. ზოგან ისინი რიტმის მისაღწევად იყენებენ მსგავს მეთოდს და თარგმანში სვამენ საკუთარ ფრაზებს. მაგალითად, ლექსში - Δε βιάσταξες, αγάπη μου, ვერ გაუძელი, სატრფოვ ჩემო:

Δε βιάσταξες, αγάπη μου, στο δύσκολο ανηφόρι  
κουράστηκες, παραπατάς,  
παλεύεις με την παγωνιά και με το ξεροβόρι,  
...ασότου, τέλος, σταματάς.

ვერ გაუძელი, სატრფოვ ჩემო, ციცაბო აღმართს  
დაღლილხარ, ფეხიც გიცდება... სად ხარ...

ებრძვი უკუნეთს, უსაშველო გრიგალს და ყინვას,

...მაგრამ ნებდები, ჩერდები სადღაც. [თანამედროვე ბერძნული პოეზიის ანთოლოგია, 2007: 78-79]

სიტყვები: „სად ხარ“, „ნებდები“ და „სადღაც“ დედანში არ გვხვდება და მათ პოეტი (ქეთი ნიჟარაძე) იყენებს მხოლოდ და მხოლოდ რიტმის მისაღწევად.

ორიოდ სიტყვით გვინდა შევეხოთ ელიტისის ლექსების მონიავასეულ თარგმანებს. მიუხედავად იმისა, რომ თარგმნის პროცესში მთარგმნელი ახალბედა და მცირე ასაკის იყო, მისი ნამუშევრები ახლოსაა ორიგინალთან და საკმაოდ დახვეწილია, მაგრამ, ზოგან იგი მიმართავს რითმას ისეთ შემთხვევებშიც კი, როცა დედანში არანაირი რიტმისა და რითმის შეგრძნება არ გვხვდება. მოგვიანებით, ხათუნა მონიავას თარგმანები შევიდა ანთოლოგიაშიც და ეს ნიმუშები უკვე ადასტურებს, რომ მთარგმნელი შემოქმედებითად გაიზარდა.

კონსტანტინოს კავაფისის ლექსების ერთ-ერთი პირველი მთარგმნელია ანდრო ბარნოვი. ვფიქრობთ, მან კვალიფიციურ მთარგმნელად დაამახსოვრა მკითხველს თავი და არ იქნებოდა ურიგო, თუკი იგი ამ საქმიანობას არ შეწყვეტდა.

აღვნიშნავდით კვიპროსელი პოეტის კოსტას მონტისის ლექსების თარგმანებსაც, ამ პოეტის მინიატურები ის შემთხვევაა, როდესაც შინაარსი იმდენად შთამბეჭდავია, რომ სტენოგრაფიული თარგმანის შემთხვევაშიც კი, ქართველ მკითხველზე შთაბეჭდილებას მოახდენდა. თუმცა, ხაზგასასმელია მთარგმნელის პროფესიონალიზმი, რომელსაც სადად და ლაღად გადმოაქვს მშობლიურ ენაზე ორიგინალი.

სანიმუშოდ გამოვყოფდით გიორგი წულაძის მიერ შესრულებულ თარგმანებს. ვფიქრობთ, რომ საქმე გვაქვს ჩამოყალიბებულ, კვალიფიციურ მთარგმნელთან, რომელსაც ზურგს უმაგრებს ბერძნული ენის კარგი ცოდნა. იგი მშობლიურ ენაში გამომსახველობით

ხერხებს ადვილად პოულობს, არ სცილდება ქართულ პოეტურ ტრადიციას და არასდროს ტოვებს ზომიერების შეგრძნებას.

საგანგებოდ არის აღსანიშნი ნიკოს ენგონოპულოსის წულაძისეული თარგმანები. ამ სიურეალისტ პოეტს აქვს გარკვეული სპეციფიკური მიდგომები: არ ხმარობს სასვენი ნიშნებს, მისი შედარებები და მეტაფორები სრულიად ორიგინალურია და ხშირ შემთხვევაში უცნაურიც. ცხადია, ამ ყველაფრის გადმოტნა და მორგება ქართული სინამდვილისთვის არაა მარტივი საქმე, თუმცა, წულაძემ ღირსეულად გაართვა თავი. არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება თუმცა, ჩვენ შეჩერდებით მის ერთ-ერთ თარგმანზე:

Εἰν' οἱ γυναῖκες π' αγαπούμε σὰν τὰ ρόδια  
έρχονται καὶ μας βρῖσκουνε  
τὶς νύχτες  
ὅταν βρέχη  
μὲ τους μαστοὺς τους καταργοῦν τὴ μοναξιά μας  
μὲς' ἄλλα μαλλιά μας εἰσχωροῦν βᾶθειά  
καὶ τὰ κοσμοῦνε  
σὰ δάκρυα  
σὰν ἀκρογιάλια φᾶτεινᾶ  
σὰ ρόδια

ბროწეულებს ჰგვანან ქალები რომელთაც ვერტრფით  
დიღხანს რომ დაგვეძებენ  
გვპოულობენ  
წვიმიან ღამით  
მარტოობის ტკივილს გვიქრობენ სალუქი მკერდით  
და გვიკაზმავენ თმას ცხელი ცრემლით

ქალები

მსგავსი მოციაგე ზღვისპირეთისა

ქალები

მსგავსნი ბრონეულების... [თანამედროვე ბერძნული პოეზიის ანთოლოგია, 2007: 201]

როგორც ვხედავთ, არც დედანში და არც თარგმანში არ არის გამოყენებული სასვენი ნიშნები, გარდა ამისა თარგმანის სტრუქტურული აგებულებაც კი მსგავსია დედნისა.

2015 წელს, გამომცემლობა ინტელექტის მიერ გამოიყა ორი ბერძენი ნობელიანტი და მსოლიოში აღიარებული პოეტის, გიორგოს სეფერისისა და ოდისეას ელიტისის ლექსები. ახალი ბერძნულიდან მათი ლექსები თარგმნა მარიამ წიკლაურმა, ბზკარედული თარგმანი ეკუთვნის მაია კაკაშვილს.

გადაჭარბებული არ იქნება თუკი ვიტყვით, რომ ახალგაზრდა მთარგმნელმა საკმაოდ ოსტატურად გაართვა თავი ამ საპასუხისმგებლო და რთულ სამუშაოს, ვინაიდან დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული თარგმნო ისეთი პოეტები, რომელთაც შექმნეს თვითმყოფადი პოეზია, გამოირჩევიან ორიგინალურობითა და ინდივიდუალურობით. მათი შემოქმედება ხშირად გამხდარა კრიტიკოსთა დავის საგანი. აღნიშვნის ღირსია ასევე ისიც, რომ გიორგოს სეფერისისა და ოდისეას ელიტისის შემოქმედება პირველად ითარგმნა ასე მასშტაბურად, აქამდე ქართველი მკითხველისათვის ცნობილი იყო იზა ორჯონიკიძისა და ხათუნა მონიავას თარგმანები, ახლა კი საშუალება გვაქვს გავეცნოთ მაია კაკაშვილის თარგმანებს, შევადაროთ ისინი ამ ლექსების ძველ თარგმანებს და გავაანალიზოთ მხატვრული თარგმანის რომელ ხერხს იყენებს მთარგმნელი, არის თუ არა იგი სამართლიანი დედანთან მიმართებაში.

გიორგოს სეფერისმა თავსი შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ ბერძნული მითოლოგია აქცია, რომლის ფარგლებსაც იგი არ სცდება და უპირატესობას

ტროას ციკლსა და მასთან დაკავშირებულ ეპიზოდებს ანიჭებს. ამ მხრივ საყურადღებოა ლექსი „არგონავტები“. ამ ლექსის ქართული თარგმანი, შესრულებული იზა ორჯონიკიძის მიერ, ცნობილი იყო ქართველი მკითხველისათვის, სულ ახლახან კი ლექსის პნკარედული თარგმანი შეასრულა მათა კაკაშვილმა.

ორივე თარგმანში კარგად არის გადმოცემული დედნის შინაარსი, ორივე მთარგმნელი ახლოს დგას ორიგინალთან, თუმცა მათა კაკაშვილი ბევრად ოსტატურად და მარტივად ახერხებს, რომ არ გასცდეს ორიგინალს, მთარგმნელს მაქსიმალური სიზუსტით აქვს დაცული ავტორის ხელწერა, სტილი, ლექსიკა, ფრაზეოლოგია, პუნქტუაცია კი, ყველა სალექსო ფორმა და სტრუქტურა დედანთან შესაბამისობაშია. რაც შეეხება იზა ორჯონიკიძეს, იგი ხშირ შემთხვევაში ვერ უმკლავდება პოეტური შთგონების შემოწოლას და საკუთარი ინტერპრეტაცია შეაქვს თარგმანში. მაგალითად, დედნის ერთ-ერთი ტაეჰი უღერს ასე: ΟΙ ΨΥΧΕΣ ΤΟΥΣ ΕΥΙΝΑΝ ΕΝΑ ΜΕ ΤΑ ΚΟΥΠΙΑ ΚΑΙ ΤΟΥΣ ΣΚΑΡΜΙΣΣ. მათა კაკაშვილს ზედმინევენით ზუსტად გადმოაქვს დედანი - „მათი სულები შეენივთა ნიჩბებს და ძელებს“ [გ. სეფერისი 2015:35] ხოლო იზა ორჯონიკიძე ამატებს ტაეჰს, იგი საკუთარ მეგობრებად იხსენიებს არგონავტებს, რაც დედანში არასად გვხვდება - „სულები ჩემი მეგობრებისა შეენივთენ ნიჩბებს და ნიჩბის პალაოებს“. [ი. ორჯონიკიძე 1999:92] მიუხედავად იზა ორჯონიკიძის თარგმანში არსებული მცირედი უზუსტობებისა, ჩემთვის, როგორც რიგითი მკითხველისათვის, ორივე თარგმანი ერთნაირად ემოციური და სასიამოვნო წასაკითხი იყო. ორივე მთარგმნელი ახერხებს იმას, რომ მკითხველს დაეუფლოს იგივე გრძნობა, რაც დედნის წაკითხვის დროს დაეუფლებოდა, ეს კი პოეზიის თარგმნის დროს ვფიქრობთ, ყველაზე მნიშვნელოვანია.

ქართველი მკითხველისთვის ასევე ცნობილია ოდისეას ელიტისის ლექსების თარგმანი შესრულებული ხათუნა მონიავას მიერ, რომლებიც შესულია ორენოვან გამოცემაში „ოდისეას ელიტისის ლექსები“ და ახლბერძნული პოეზიის კრებულში „გიჟმაჟი ბრონეული“ იზა ორჯონიკიძის თარგმანები. ზოგადად ო. ელიტისის ლექსების აღქმა და გაანალიზება რთულია ვინაიდან მისი შემოქმედება მიეკუთვნება სიურეალიზმის ჟანრს. იგი ბერძნული

პოეზიის ერთ-ერთ განმაახლებლად არის მიჩნეული. პოეტი თავად მკითხველს ანდობს ლექსების შემდგომ ინტერპრეტაციას. მისი შემოქმედება ხშირად გამხდარა ფილოლოგთა, კრიტიკოსთა, ლიტერატურისა და პოეზიის უბრალო მოტრფიალეთა დავის საგანი „*თავად ბერძენ კრიტიკოსთა აღიარებით, ელიტისის პოეზია ჯერ კიდევ გამოცანად რჩება და მისი შემოქმედების წარჩინებული მკოდნენიც კი, სიფრთხილით ეკიდებიან რაიმე ახალი აზრის გამოთქმას, მისი პოეზიის ამა თუ იმ ასპექტზე*“. [ს. შამანიდი 1998: 8-23] სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო ძალზედ რთული და ორმაგად საპასუხისმგებლოა თარგმნო ო. ელიტისის შემოქმედება ისე, რომ იგი სხვა, უცხო ენაზე ააჟღერო დედნის მსგავსად, აღძრა ის ემოცია მკითხველში, რომელსაც იგი დედნის წაკითხვის დროს განიცდიდა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოდისეას ელიტისის ლექსების თარგმანებიც, ზედმინწევნით ზუსტად არის შესრულებული, ყველა სალექსო ფორმა და სტრუქტურა დედანთან შესაბამისობაშია. მაგალითად, როგორცაა სიტყვათა შორის ორმაგი დაშორება, მარცვალთა განმეორება, სიტყვათა გაყოფა, საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ლექსი - „*არარსებობის კლიმატი*“, რომელიც, როგორც შინაარსობრივად, ისე სტრუქტურულად დედნის შესაბამისია:

Η ώρα ξεχάστηκε βραδιάζοντας

Δίχως θυσίση

Μετο δένδρο της αμίλητο

Προς τη θάλασσα

Ξεχάστηκε βραδιάζοντας

Δίχως φτερούγισμα

Με την όψη της ακίνητη

Προς τη θάλασσα

Βραδιάζοντας δίχως έρωτα

Με το στόμα της ανένδοτο

Προς τη θάλασσα

Κι εγώ μεσ' στη γαλήνη που σαγίηνεψα.

ღრო მიეცა შებინდებისას თავდავინწყებას

მოგონების გარეშე

თავისი უტყვი ხით

ზღვისკენ

თავდავინწყებას ღრო მიეცა შებინდებისას

ფრთების აქნევის გარეშეც

უძრავი სახით

ზღვისკენ

ბინდზე

უსიყვარულოდ

უტეხი პირით

ზღვისკენ

მეც-ასე მწუხრის მყუდროებაში ვეცდუნე. [ო. ელიტისი, 2015:20]

ჩვენთვის საინტერესო იყო ის შემთხვევები, როდესაც მთარგმნელი ცდილობს, სათარგმნ მასალას მთარგოს არა მხოლოდ გამომსახველობითი ხერხები, რომლებიც სათარგმნი ენისთვის იქნება მისაღები, არამედ გაითვალისწინოს ამა თუ იმ მენტალობის მკითხველისთვის კონკრეტული შინაარსის სიტყვა რა დატვირთვის მატარებელი იქნება. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

ა) კოსტას მონტისის ლექსში:

*„მხატვრებს, რომელნიც ღვთისმშობელსა და იესოს გამოსახავენ“*

*«ΠΡΟΣ ΖΩΓΡΑΦΟΥΣ ΓΙΑ ΤΙΣ ΑΠΕΙΚΟΝΙΣΕΙΣ ΤΗΣ ΠΑΝΑΓΙΑΣ ΚΑΙ ΤΟΥ ΙΗΣΟΥ»*

*Όχι πάντα να τον κρατά βρέφος στην αγκαλιά.*

*Ζωγραφίστε Τη και μια φορά στη γειτονιά*

*Να τον κρατά απ'το χέρι*

*Ζωγραφίστε Τη και μια φορά στο δρόμο*

*Να την τραβά απ' το ρούχο.*

*მაინც და მაინც ხელში რატომ უნდა ეჭიროს?*

*დახატეთ ერთხელ ვზად მიმავალნი,*

*ხელიხელიჩაკიდებულნი.*

*დახატეთ ერთხელ, სადმე ქუჩაში*

*კაბის კალთაზე რომ ექაჩება. [კ. მონტისი, 2016:119]*

ბერძნულ ვარიანტში, დედანში გვაქვს:

“ერთხელ დახატეთ იგი (ღვთისმშობელი) უბანში, (სამეზობლოში)”. თარგმანში კი გვაქვს “ქუჩაში”, რადგან ქართულ ყოველდღიურობაში უბანში დგომა/ყოფნა განსხვავებულ ასოციაციას იწვევს და ქუჩური მენტალობისკენ მივყავართ. შესაბამისად, ღვთისმშობლის აღმოჩენა პირმშოსთან ერთად უბანში ქართველი მკითხველისთვის გაუგებარი და მიუღებელი მხატვრული სახე იქნებოდა. მთარგმნელმაც მარტივი და უწყინარი გამოსავალი ნახა.

ბ) ლამბროს პორფირასის ლექსი: „უკანასკნელი ზღაპარი“ «*Το Στερνό Παραμύθι*» ორიგინალში დატვინულია ბერძნული ზღაპრისათვის დამახასიათებელი ლექსიკით. ლექსის ლირიული გმირი, (ბავშვი) სახლში შექმნილ მისთვის უცხო სიტუაციას მისტიურად აღიქვამს, სინამდვილეში კი ბებია სასიკვდილო სარეცელზეა, მის გარშემო ბევრი ხალხი დადის, მაგრამ არავის მოაქვს ზღაპრული უკვდავების წყალი. პასაჟი იმით მთავრდება, რომ მთავარანგელოზის ფრთების ხმა გაისმება, რაც ბებიას გარდაცვალებას მოასწავლებს და ეს პასაჟი მთავარი გმირისთვის ბებოს უკანასკნელი ზღაპარი იქნება. (თანამედროვე ბერძნული

პოეზიის ანთოლოგია 2007:65) ლექსის თარგმანში გამოყენებულია ქართული ზღაპრებისთვის დამახასიათებელი ლექსიკა. რითმიც პარალელურია დედნის მსგავსად. მთარგმნელი იყენებს ქართულ მითოლოგიურ ზეპირსიტყვიერებაში პოპულარულ ფრაზას: „სანთელი კელაპტარობდა“- „ქალი ანთებდა სანთელსა, სანთელი კელაპტარობდა...“ „...ზღვის გაღმა ერთი სანთელი გამოღმა კელაპტარობდა“ [ზ. კიკნაძე, ტ. მახაური 2010 :96] ისე რომ დედნის შინაარს სრულებით არ ცვლის:

Και γύρω της γιαγιάς μου το κρεββάτι,  
Ανάμεσα από δύο χλωμές λαμπάδες,  
Περνούσανε και σαν τραγουδιστάδες  
Της τραγουδούσαν – ποιός το ξέρει; – κάτι....

„ვით მგალობელნი მიმოდიოდნენ,  
სადაც სანთლები კელაპტარობდნენ,  
როს სარეცელზე იწვა ბებია  
და რას უმღერდნენ? - ვისა სმენია“

[თანამედროვე ბერძნული პოეზიის ანთოლოგია 2007: 65]

ლექსის ორიგინალში გამოყენებული ფრაზა: «Μια φορά και έναν καιρό» - რომლითაც ბერძნული ზღაპრები იწყება, ქართულად ითარგმნება როგორც „ერთ დროს და ერთ უამს“, თარგმანში კი გადმოტანილია ქართული ზღაპრის პროლოგისთვის დამახასიათებელი ტიპიური, უცვლელი ფორმით: „იყო და არა იყო რა“.

თარგმანში საინტერესოა კვლავ ერთი მომენტი «Ο Αρχάγγελος χτυπούσε τα φτερά του» სიტყვასიტყვითი თარგმანი ასე უღერს: „მთავარანგელოზმა დაატყლაშუნა ფრთები“, ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, მთავარანგელოზი არის რვა. სამოთხის მცველი მთავარანგელოზები კი არიან მიქაელი და გაბრიელი. არც ერთ ენობრივ სამყაროში მათ არ აქვთ სიკვდილის ანგელოზის ფუნქცია, მაშინ როცა ქართულ ტრადიციაში მიქელ-გაბრიელი

ერთგვარად ქარონის როლს ასრულებს. გავიხსენოთ გამოთქმა: „მიქელ-გაბრიელმა მოაკითხა“, „მიქელ-გაბრიელმა წაიყვანა“ (თ. სახოკია 1979: 241) იმისათვის, რომ ბების გარდაცვალების მომენტი ლექსში მკითხველისთვის აღქმადი გაეხადა, მთარგმნელმა სწორედ ეს ქართული ტრადიცია გაიხსენა და თარგმანში მთავარანგელოზის ვინაობა, ასე ვთქვათ, დააკონკრეტა. შესაბამისად, თარგმანის ბოლო ტაეპები შემდეგნაირად უღერს:

*„ ბებოსთვის არვინ გასწირა თავი,  
ვერ დაამარცხა გველეშაპი, ვერცა არაბი,  
რომ უკვდავების წყალი ესმია.  
და როცა დედა მუხლებზე იდგა  
- იყო და არა იყო რაო ... -*

*მთავარანგელოზ მიქაელის ფრთენი შეირხა.*“ [თანამედროვე ბერძნული პოეზიის ანთოლოგია 2007:65]

საინტერესოა ის შემთხვევები, როდესაც დედნიდან გადმოსატანია იდიომა. ამის მაგალითად მოვიყვანო კ. მონტისის შამანიდისეულ თარგმანს. სალექსო ტაეპში გამოყენებულია იდიომური ფრაზა: »έχει γούστο«, რომელიც სიტყვა-სიტყვით ითარგმნება- „გემოვნება აქვს“, „გემო აქვს“. ქართულად შეესაბამება „მაგარი იქნება“, „სასაცილო იქნება“, მთარგმნელს ამ შემთხვევაში არც იდიომატურად გადმოაქვს ტაეპის მნიშვნელობა და არც სიტყვა-სიტყვით თარგმანს გვანჯდის, მან მიაგნო ნეიტრალურ გამოსავალს, რომელიც მეტად წაადგა მოცემულ ფრაზას და ტაეპს:

*ΕΝΑ ΠΑΛΛΗΚΑΡΙΣΕΙΟ ΜΥΑΛΟ ΓΙΑ ΤΗ ΜΕΤΑΜΟΣΧΕΥΘΕΙΣΑ ΚΑΡΔΙΑ*

*კაცის ტვინი გადმოსანერგ გულზე*

*Έχει γούστο ναν' από γυναίκα!*

*იმედია, ქალის არ არის!*

[კ. მონტისი 2016:154-155]



## კიკი დიმულა

ცალკე უნდა შევცხოთ კიკი დიმულას პოეზიის ქართულენოვან თარგმანებს. ერთი მხრივ, იმის გამო, რომ კიკი დიმულა ერთ-ერთ საუკეთესო პოეტად მიიჩნევა და მეორე მხრივ, იმიტომ, რომ ქართულად ახლახანს გამოიცა მისი ლექსების საკმაოდ დიდი კრებული.

პირველად კიკი დიმულას თანამედროვე ბერძნული პოეზიის ქართულენოვან ანთოლოგიაში გავეცანით. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის უკვე მსმენოდა მისი პოეზიის მომხიბვლელობის შესახებ, გამოცემაში შეტანილმა ლექსმა დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ვფიქრობთ, ისეთი დონის პოეტი როგორც კიკი დიმულაა პოეზიის ანთოლოგიაში ერთი ლექსით და მით უმეტეს ლექსით: „ღრმა ღარი“ «ΒΑΘΕΙΑ ΑΥΛΑΞ» არ უნდა იყოს წარმოდგენილი, რადგან ეს სულაც არ არის პოეტის საუკეთესო ნამუშევართაგანი. შესაბამისად, ქართველი მკითხველი, რომელიც პირველად ეცნობა ბერძენ პოეტს, აღნიშნული ლექსის წაკითხვისას ვერ დაინტერესდება მისი შემოქმედებით. კიკი დიმულა არის პოეტი, რომლის ნარატივი მხატვრულ, კულტუროლოგიურ, ფილოსოფიურ ტექსტებთან თამაშისა და ემოციების გამოხატვის ნაირგვარი ფორმების, სტილის, აღქმისა და გააზრების საინტერესო პრეზენტაციაა. კიკი დიმულა არის ადამიანი, რომელიც ყველაფერში პოეზიას ხედავს და გარშემო ყველაფერს, ჩვეულებრივ ნივთებსაც კი პოეზიად გარდაქმნის. შესაბამისად, ერთი სიტყვის არასწორმა გადმოტანამ, ან თანაგვარი მხატვრული სახის ვერ მოძიებამ შესაძლოა, სრულიად დააბნოს მკითხველი, რადგან დაიკარგოს ლექსის შინაარსიც და მხატვრული სახეც. სწორედ ამგვარად მოხდა ანთოლოგიაში წარმოდგენილ თარგმანთან დაკავშირებით. თუმცა, მას შემდეგ რაც ამ ლექსის ალტერნატიული თარგმანი გაჩნდა, პოეტურმა ნიმუშმა ჩვენთვის მეტი მომხიბვლელობა შეიძინა. თათია მთვარელიძისეული თარგმანი ამ მხრივ უკვე გამართულია და შესაბამის შთაბეჭდილებას ახდენს.

*Καληνύχτα...*

*Με κούρασε πολύ η Κυριακή.  
Πολλή Κυριακή για έναν άνθρωπο .  
Με κούρασε κι αυτός ο γάμος «στις οκτώ»,  
Ο λόγος ο αμετάφραστος έσονται εις σάρκα μίαν –  
Κορίτσι πάλι η σκέψη, και ταξίδευε  
μ'άσπρα ανοιχτά σεντόνια.  
ღამე მშვიდობის...  
ამ კვირადღემ ისე დამეხნცა...  
კვირადღე ერთი კაცისთვის მართლა უკვე მეტისმეტია.  
„რვაზე“ ქორწილმაც გადამლალა  
და უთარგმნელმა ფრაზამ: „ერთ -ხორც ჰყავ, შენ, უფალო“,  
გოგო- კვლავ ფიქრი,  
ქათქათა ზენარმოხვეული მიმოდიოდა.  
[კ. დიშულა 2017: 87]*

ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კიკი დიშულას თათია მთვარელიძისეულ თარგმანებში ერთი მხრივ, პოეტი წარმოგვიდგება მთელი თავისი სიდიადითა და მომხიბვლელით და მეორე მხრივ, ჩანს მთარგმნელი, რომელსაც არ ეტყობა არც მცირე ასაკი, არც ახალბედობა. მთარგმნელი პროფესიონალურად, მაღალკვალიფიციურად და დახვეწილად უდგება ყველა ტაეჰს, სიტყვას, ბგერასაც კი. კრებულის –„შავი ჰალსტუხი“- ყოველი გვერდი ამის დასტურია. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ლექსს:

*„ წვიმის ვნებანი“  
«ΤΑ ΠΑΘΗ ΤΗΣ ΒΡΟΧΗΣ»  
Έν μέσω λογισμών και παραλογισμών  
άρχισε κι η βροχή να λιώνει τα μεσάνυχτα  
μ'αυτον τον νικημένο πάντα ήχο*

σι σι σι

*Ἦχος συρτός, συλλογιστός συνέρημος*

*ηχος κανονικός κανονικής βροχής.*

*უაზრობათა და აზრების გზაჯვარედინზე*

*წვიმამ დაინყო შუალამის სიჩუმის დნობა*

*ხმაურით, მუდამ რომ გამარცხებს:*

*შშშშ...შშშშ...შშშშ..*

*ხმა მოშხაპუნე, ხმა მშვიდი და ხმა შეუვალი,*

*ჩვეული წვიმის ჩვეული ხმა.* იმისათვის, რომ ქართველი მკითხველისთვის უფრო მისაღები გახდეს ლექსი, მთარგმნელს პირდაპირ კი არ გადმოაქვს დედანში წვიმის გამოსახატავად გამოყენებული ფრაზა - « σι, σι, σι», არამედ იგი იყენებს შხაპუნა წვიმის აღსანიშნად ქართული ენაში უფრო მეტად გავრცელებულ ფორმას და „შშშშ...შშშშ...შშშშ..“ - ბგერით გამოხატავს შხაპუნა წვიმას.

საინტერესოა ამავე ლექსის შემდეგი სტრიქონი:

*Κι όλη τη νύχτα ακούω και διαβάζω τη βροχή*

*σίγμα πλάι σε γιώτα, γιώτα κοντά στο σίγμα,*

*κρυστάλλινα ψηφία που τσουγκρίζουν*

*και μουρμουρίζουν ένα, εσύ, εσύ, εσύ.*

*(...) მეც მთელი ღამე ყურს ვუვდებ და ვკითხულობ წვიმას:*

*შ-ს ენი მოსდევს, ე დგას შ-ს გვერდით,*

*წვიმის ბგერები წკარუნობენ და ბუტბუტებენ:*

*შენ, შენ, შენ, შენ, შენ. [კ. დიმულა 2017: 69]*

ამ შემთხვევაშიც მთარგმნელი არ იყენებს პირდაპირი თარგმანის წესს და არ ცდილობს ტექსტის სიტყვა-სიტყვით გადმოთარგმანებას. იგი ტაეპს: „Σίγμα πλάι σε γιώτα, γιώτα κοντά στο σίγμα“ თარგმნის ასე: „შ-ს ენი მოსდევს, ე დგას შ-ს გვერდით“, როგორც ვხედავთ,

მთარგმნელმა იპოვა მარტივი გამოსავალი, იგი პირის ნაცვალსაცვლის- „შენ“ გამოყენებით, აზრობრივად უფრო ნათელს ხდის ლექსს. ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, მიგველო აზრობრივად სრულიად გაუმართავი წინადადება, რომელიც ქართველი მკითხველისთვის გაუგებარი იქნებოდა.

## **IV თავი. ბერძნული პროზაული ნაწარმოებების ქართულენოვანი**

### **თარგმანები**

თანამედროვე ბერძნული მოთხრობების ანთოლოგია 2003 წელს გამოიცა. იმ დროისთვის ეს დიდი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, რადგან მრავალ ენაზე უკვე ნათარგმნი ბერძნული მოთხრობა ქართველი მკითხველისთვის სრულიად უცნობი გახლდათ. მეტიც, ახალი ბერძნული ფილოლოგიის სტუდენტებისთვისაც კი ის ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო, რადგან მოთხრობათა ბერძენი ავტორების ენა ძირითადად იმდენად რთულია, რომ მისი გაგება ახალგაზრდებისთვის თითქმის შეუძლებელი იყო.

იმ დროისთვის საკმაოდ რთული იყო ერთი მხრივ, მოთხრობების თარგმანის უფლების საბერძნეთიდან მოპოვება და მეორე მხრივ, იმ თარგმნელთა პოვნა, რომლებიც ამ ტექსტებზე მუშაობას შეძლებდნენ. გამოსავალი ერთი იყო ამ საქმით სტუდენტები და კათედრის კურსდამთავრებულები უნდა დაკავებულიყვნენ. ამგვარი გადაწყვეტილება ძალიან გაბედული, მაგრამ სრულიად მართებული იყო. ბევრი ახალბედა მთარგმნელისთვის ანთოლოგიაზე მუშაობა პირველი ფასდაუდებელი გამოცდილება და მთარგმნელობითი საქმიანობის გაგრძელების სტიმული იყო.

აღსანიშნავია, რომ ანთოლოგიაში თავმოყრილია ყველა ის მწერალი, ვისაც ამ ჟანრში უმოღვაწია. ნაწარმოებები წარმოდგენილია ქრონოლოგიის მიხედვით, რათა მკითხველმა შეძლოს თვალი გადაევნოს ჟანრის განვითარებას. ხაზგასმულია, რომ ანთოლოგიაში არაა

შესული მხოლოდ საუკეთესო ნამუშევრები, არამედ ნაჩვენებია ამ უანრის ნაწარმოებთა მთელი სპექტრი, მათთვის დამახასიათებელი ღირებულებებითა და ნაკლოვანებებით.

ღირსებები და ნაკლოვანებები ცხადია, თარგმანებსაც აქვს. ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ უკლებლივ ყველა თარგმანი ზედმინევნით სრულად მისდევს ორიგინლას და თავისუფალია ზედმეტი ინტერპრეტაციებისგან. ღირსებაა ისიც, რომ ოცდაჩვიდმეტივე ავტორის თარგმანი გამართულია გრამატიკულად და სრულიად შეესაბამება ქართული ენის სინტაქსის ნორმებს. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ, წიგნის სახე ერთიანია რაც რედაქტორის პროფესიონალიზმის უდავო დამსახურებაა.

თარგმანებში ნათლად იკვეთება მთარგმნელთა გამოუცდელობა, რაც მოსალოდნელი და სრულიად ბუნებრივი იყო. ზოგჯერ თარგმანი ძალიან მანერულია და რთულად იკითხება, სწორედ იმიტომ, რომ მთარგმნელი ცდილობს ტექსტის სიტყვა-სიტყვით გადმოთარგმანებას რაც აფერმკრთალებს მხატვრულ ეფექტს: *„ზოგჯერ, როცა მამაჩემს ვუყურებდი, მაღალს, მეზღვაურის უკანმოქცეული ქედით, ჯიბეებში ხელებჩანყობილს, გაშლილი ფეხებით რომ იდგა ჩვენს პატარა ჭიშკარში და ზღვასა და კივობაბას გასცქეროდა, რაღაცნაირი აღელვება შემიპყრობდა ხოლმე...“* [თანამედროვე ბერძნული მოთხრობის ანთოლოგია 2003:112] ანთოლოგიაში შესული ზოგიერთი თარგმანი მაღალმხატვრულია, თუმცა შეინიშნება გარკვეული უზუსტობები და ზოგჯერ რამდენიმე წინადადებაც კი გამოტოვებულია: *„ჩემს ძმათაგან პატარები საკუთარ ჯამავირს დედას მთლიანად აძლევდნენ, მაგრამ ის, ნაცვლად იმისა, რომ ეს ფული საკუთარი დასვენებისთვის დაეხარჯა, თავის აყვანილ შვილს აჩუქებდა ხოლმე და მისი გამოკვებისთვის მუშაობას განაგრძობდა. მე დიდი ხნის განმავლობაში ვიყავი გამგზავრებული და არ ვიცოდი რა ხდებოდა ჩვენს სახლში.“* [თანამედროვე ბერძნული მოთხრობის ანთოლოგია 2003: 28] თუმცა არაერთმა მთარგმნელმა ეს ნაკლი შემდეგდროინდელ თარგმანებში გამოასწორა. ანთოლოგიაში შესული ზოგიერთი თარგმანი კი იმდენად დახვეწილია, აშკარაა, რომ მთარგმნელისთვის ის ძალიან წარმატებული თუნდაც პირველი ნაბიჯია მთარგმნელობით საქმიანობაში: *„ბებიანა გადმა*

სოფლიდან მოსულიყო, კართან ატუზულიყო, და ავის მოლოდინში აცახცახებული შესცქეროდა მშობიარეს. მიძიმე წუთები იდგა: ყოველ წამს შეიძლებოდა დედა ან ბავშვი დაღუპულიყო. მელოგინემ ბაგე მოიკვნიტა, მიძიმედ გადაყლაპა ნერწყვი, ერთი სულისშემძვრელად დაიკვილა და... ბავშვიც დაიბადა.“ [თანამედროვე ბერძნული მოთხრობის ანთოლოგია 2003:133] ანთოლოგიის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მთარგმნელები სქოლიოებსა და შენიშვნებში გვაძლევენ არაერთი სიტყვის, ცნებისა თუ ტოპონიმის განმარტებას.

თათია მთვარელიძის თარგმანებს შორისაა დიმიტრის დიმიტრიადისის: „ვკვდები როგორც ქვეყანა“, წიგნი, რომელიც თავისი დროის ბესტსელერად იქცა. პირველ რიგში ხაზგასასმელია მწერლის სპეციფიკური, უაღრესად თავისთავადი წერის მანერა. ავტორი სასვენ ნიშნებად მხოლოდ წერტილს იყენებს, აქვს გრძელი გაბმული წინადადებები და თითქმის უგულებელყოფს აბზაცსაც. მისი ტექსტის შინაარსი ღრმა და დატვირთულია ექსპრესიული ემოციით.

ადვილი წარმოსადგენია რამდენად რთული შეიძლება იყოს ამგავრი ტექსტის რომელიმე ენაზე გადატანა. ქართველმა მთარგმნელმა ეს მართლაც ვირტუოზულად მოახერხა. თათია მთვარელიძეს თარგმნისას ხელს უწყობს ძველი და ახალი ბერძნულის ღრმა ცოდნა, მშობლიური ენის კარგი ფლობა და მდიდარი ლექსიკური მარაგი. ამასთან, თათია მთვარელიძე არა მხოლოდ ანტიკურ ბერძნულ ცივილიზაციასაა ნაზიარები, არამედ თანამედროვე საბერძნეთის კულტურასაც და ყოველდღიურ ყოფასაც, ამას მთარგმნელის ზოგადი ინტელექტი და მთარგმნელისათვის საჭირო ნიჭი და უნარ-ჩვევები ემატება და ვღებულობთ საუკეთესო მთარგმნელობით პროდუქტს.

დიმიტრის დიმიტრიადისის ტექსტის თარგმნისას მთვარელიძე ოსტატურად იყენებს ქართული რიტმული პროზის ტრადიციებსა და პირველივე წინადადებებში გვხიბლავს მსუბუქი რიტმით, ნათელი თხრობის სტილით, რომელიც ამავე დროს ზედმინვენით მიჰყვება

ორიგინალს. მოვიყვანოთ რამდენიმე ამონარიდი თარგმანიდან: (...) Την χρόνια εκείνη καμιά γυναίκα δεν έπιασε παιδί. Αυτό συνεχίστηκε και τα επόμενα χρόνια, μέχρι που συμπληρώθηκε γενιά χωρίς καμιά καινούργια γενιά να ρθει στον κόσμο. (...) Εκτός απ' ολιγαριθμές εξαιρέσεις βίαιων αντιδράσεων σ'αυτή την ξεθεμελιωτική συμφορά, που πολύ αργότερα ονομάστηκε Μεσαίωνα της Μητράς (...) [Δ. ΔΗΜΗΤΡΙΑΔΗΣ 2010: 9]

(...) „ და იმ წელიწადს ვერ დაორსულდა ვერცერთი ქალი. ვერც მომღვებო წელს. ვერც- იმის მერე, ვერც- შემდგომ წლებში. და ამნაირად აღესრულა მთელი თაობა , ახალი კი სამყაროში აღარასდროს გამოჩენილა. (...) ეს იყო მარცხი, დიდი მარცხი. და ამ მარცხის უამს, რაღაც მერე „ საშოს ბნელ წლებად“ მოინათლა, მორჩილებას მისცემოდა უკლებლივ ყველა, თუ არ ჩავთვლით ძალადობრივი ამბოხისა და გაშმაგების გამოვლინების სულ რამდენიმე გამონაკლისს.“ [დ. დიმიტრიადისი 2015: 7]

«Έβλεπαν πως τους κυνηγούσε ολόκληρο το χωριό τους κι αυτοί έτρεχαν να κρυφτούν κι έτρεχαν και το χωριό έτρεχε από πίσω τους κι όλο τους έφτανε κι όλο τους ξέφευγαν κι ήταν σα να έτρεχαν χωρίς να τρέχουν, με μια υπέρτατη αγωνία μες στο στήθος, και κάποια στιγμή, μ'ένα ξαφνικό πέρασμα που μόνον η φρίκη το πετυχαίνει, έπεφταν όλοι οι συγχωριανοί τους πάνω τους ξεσχίζανε κι έπαιρνε ο καθένας από ένα κομμάτι και πετούσαν τα κόκαλα στα σκυλιά κι έβλεπαν πια μόνο τα κόκαλα μέσα στο στόμα των σκυλιών κι αυτά τα στόματα γεμάτα με τα ίδια τους τα κόκαλα τους έκαναν να τινάζονται αλαφιασμένοι μες στον ύπνο τους με δυσπνοια και με την αίσθηση του ροκανίσματος του σκελετούτους μες στο ίδιο τους το στόμα.» [Δ. ΔΗΜΗΤΡΙΑΔΗΣ 2010: 26-27]

„ხედავდნენ სიშმრად, რომ გარბოდნენ და მათ მოსდევდა მთელი სოფელი, გარბოდნენ, რომ სამალავი რამე ეპოვნათ, გარბოდნენ და სდევდათ მთელი სოფელი უკან, ჰა, სადაცაა მიენვოდნენ ძლივძლივობით დაუსხლტებოდნენ, ისევ გარბოდნენ ისე, თითქოს ვერ გარბოდნენ, სულ გარბოდნენ და ვერ გარბოდნენ, სულ ენვოდნენ და სულ გარბოდნენ, სულ

*გარბოდნენ და ვერ გარბოდნენ, სულ ეწეოდნენ და სულ გარბოდნენ, და სადღაც მკერდში უფეთქავდათ ზეშმაგი ძრწოლა, და უეცრად, რაღაც ტრიუკით, რომელიც მხოლოდ კომპარში თუ ხდება ხოლმე, თანასოფლელები მიეწეოდნენ, თავს ესხმებოდნენ და გლეჯდნენ, გლეჯდნენ მათ ნაგლეჯებს სათითაოდ დაიტაცებდნენ, ძვლებს მიუყრიდნენ ცოფიან ძაღლებს, მათი ძვლები რომ გაეჩარათ პირებში ავად, და ამ ძაღლების, ძვლებით სავსე, საზარელი, დიდი ხახები იქცეოდა მათი ძილის ციებად, შფოთვად, ერთიანი კანკალის სავნად, რომელიც მერე უძილობად ედებოდა მათ დაღლილ სხეულს. და შევრძნება, რომ სკუთარ ძვლებს საკუთარივე კბილებით ღრღნიდნენ, მათ არ ტოვებდათ.*“ [დ. დიმიტრიადისი 2015: 26]

## **პაპადიამანდისი**

ასევე გვაქვს საშუალება ქართულ ენაზე გავეცნოთ ევროპული ლიტერატურის ერთ საინტერესო და ცნობილ ნიმუშს - ალექსანდროს პაპადიამანდისის მოთხრობას - „მკვლელი“.

რამდენადაც დიდია მნიშვნელობა ამა თუ იმ მწერლისა და ნაწარმოების, მით უფრო საძნელოა მისი თარგმნა. ამგვარადვეა მოცემულ შემთხვევაშიც, რადგან პაპადიამანდისი სრულიად განსხვავებული ფიგურაა ახალ ბერძნულ მწერლობაში, „მკვლელი“ კი - მისი შემოქმედების ყველაზე გამორჩეული ნაყოფი.

რამდენი მწერალი ჰყოლიათ ბერძნებს, მაგრამ სახელი „ბერძნული ლიტერატურის წმინდანისა“ მხოლოდ ერთს ერგო. „თავისუფალი და განუმეორებელი მოვლენა ელინური პროზისა“, „მწვერვალი ახალბერძნული ლიტერატურის პირამიდისა“ - ეს ტიტულები მხოლოდ ერთმა პიროვნებამ, ალ. პაპადიამანდისმა, დაიმკვიდრა ბერძნული მწერლობის უგრძელეს გზაზე.

ამ სკიათოსელი შემოქმედის სახე და სახელი თანამემამულეთათვის ძვირფასი და წმინდაა, მისი ნაწარმოებები კი - შურყვნელი და ხელშეუხებელი, აქედან გამომდინარე, გასაგებია თუ რამდენად საფრთხილო, საპასუხისმგებლო და რთული შიძლება იყოს მათი თარგმნა.

ეს ის შემთხვევაა, როცა მარტოოდენ ბერძნული ენის ცოდნით ვერას გახდები. მშობლიური ენის კარგად გამოყენებასთან ერთად აუცილებელია, იცნობდე მთლიანად ახალბერძნულ მწერლობას, რომლის ღრმა ფესვებზედაც დგას მწერალი, მაგრამ მისი შემოქმედების ზედმიწევნით შესწავლაა საჭირო, რათა მკითხველს აგრძობინო, რომ პაპადიამანდისი თავისი ღრვის ნოვატორიცაა და თვითმყოფადობით, ერთადერთობით, ორიგინალობით უაღრესად გამორჩეულიც. ანუ გვხიბლავს იმით, რაც მხოლოდ მას შეაქვს ახალბერძნული ლიტერატურის განვითარების საერთო პროცესში.

მწერლის სირთულე და უჩვეულობა უფრო ნათელი გახდება, თუ აღვნიშნავთ, რომ მას ვერ აკუთვნებდნენ ვერცერთ მიმადინარეობას, ვერცერთ სკოლას, რადგან თავად იგია მიმდინარეობაცა და მიმართულებაც თანამგზავრებისა და მემკვიდრეების გარეშე, რამეთუ ვერავინ აუბა მის დიდოსტატობას მხარი, ვერც ვერავინ მისდია შემოქმედს. როგორც ცხოვრებაში, მწერლობაშიც მარტოსული დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ მის თხზულებებში ბერძნული პროზის მრავალსაუკუნოვანი მემკვიდრეობა ვითარდება, მწერალი მაინც არავის ჩამოჰკავს და, როგორც მკვლევარები ამბობენ, სხვა კორიფეების - კალვოსისა და კავათისის მსგავსად, განცალკევებით დგას. მართლაც, ეს მწერალი, პოეტი, მთარგმნელი და ჰიმნოგრაფი თითქმის ბერულ ცხოვრებას ეწევა ერში და თითქმის ასკეტურ შემოქმედებით მოღვაწეობას ლიტერატურაში. ცხადია, ძნელია, მთარგმნელმა შემოქმედის ეგზომ განსაკუთრებული ბუნება, ტემპერამენტი, ემოციური წყობა მთლიანად აირეკლოს, თანაც, გასათვალისწინებელია ენის სირთულეც, რომელიც ამ ყველაფერს თან ერთვის: პაპადიამანდისისთვის უცხოა ენობრივი ერთსახეობა, რაც დიდად განაპირობებს მის ნაწარმოებთა ესთეტიკურ სისრულეს. იგი წერს კათარევეუსაზე, რომელიც განსხვავდება სხვა ლიტერატორთა კათარევეუსასგან, რადგან სესხულობს სიმსუბუქესა და მოქნილობას

ხალხური ენისას (დიმოტიკის) და ამ საოცარ სინთეზს კუნძულ სკიათოსის დიალექტთან შეაუღლებს. ამდენად, მისი კათარევუსა თვალს არ გვჭრის, ვინაიდან უერთდება და ერწყმის ყოველდღიურ სახალხო მეტყველებას. ძნელია საზღვრის დადება სად ფერმკრთალდება უაღრესობა-უკიდურესობანი კათარევუსასი და სად იღებს სათავეს უბრალოება დიმოტიკისა. პაპადიამანდისი იყენებს როგორც მკაცრ, მოუხეშავ, ისე მსუბუქ, სადა ტონებს ენისა და მაინც მეტად ესთეტიურ ენობრივ სტილს ქმნის, რადგან მხოლოდ დიდ გენიას ძლუძს ერთმანეთს შეურწყას: შთამაგონებლობა და ძალმოსილება კათარევუსასი, სიხასხასე და ბუნობრიობა დიმოტიკისა, სიხალისე და კუთხურობა სკიათოსური ბერძნულისა. თუმცა, ამით არ ამოიწურება მის ნაწარმოებთა განსაკუთრებული ენობრივი ხასიათი და ლექსიკური სამყარო. მწერალი სრულიად სხვადასხვა ენას ურჩევს თითოეულ გმირს მისი წარმომავლობის, ხასიათის, პროფესიისა და ცხოვრების წესის შესაბამისად.

ეს ყოველივე მეტად ამძიმებს მთარგმნელის შრომას და მის პასუხისმგებლობასაც მნიშვნელოვნად ზრდის. ამ მხრივ კიდევ ერთი მომენტი საგულისხმო, კერძოდ, - ნაწარმოების სპეციფიკა: პაპადიამანდისის არცერთ მოთხრობაზე იმდენი არ დაწერილა რამდენიც მკვლელზე, რადგან იგი მწერლის ნიჭისა და ოსტატობის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს. ერთადაა მოქცეული ლირიკოსი და ანალიტიკოსი კალმოსნის რეალისტური, რომანული თუ ლირიული ხედვა, პიროვნული ფანტაზია თუ იდეოლოგია, ანტიკური ტრაგედიის ელფერი თუ უღრმესი ფსიქოლოგიური დრამის შტრიხები. მკვლევართა აზრით, მოცემულ თხზულებას, ისევე როგორც შემოქმედის სხვა ნაწარმოებთა უმეტესობას, აკლია სტრუქტურული, სიუჟეტური მთლიანობა, მაგრამ თუ ეს სხვა მწერლისთვის ნაკლია, პაპადიამანდისის გენია ხსენებულ მეთოდს თავისი შემოქმედების ღირსებად აქცევს.

მოთხრობაში არცერთი სიუჟეტი, არცერთი სიტყვა არაა შემთხვევითი. „მკვლელი“ მას შემდეგ შეიქმენა, რაც მწერალმა ფრანგულიდან თარგმნა დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“, მაგრამ განათლებული მკითხველი უმაღლესი შენიშნავს, რომ გავლენა უმცირესია და უმნიშვნელო. როგორც ცნობილია, თარგმანში პაპადიამანდისი თავისუფალია და

შემოქმედებითი უნარის შეზღუდვით არ ხასიათდება. ეს დეტალი შემთხვევით არ აღგვინიშნავს, რადგან მიგვაჩნია, რომ მის ნაწარმოებთა თარგმნისას სტილთან ერთად მწერლის მთარგმნისეულ პოზიციასაც უნდა მივსდიოთ.

ყოველივე ზემოთქმული ნათელყოფს, რაოდენ დიდ სირთულეთა დაძლევა დასჭირდებოდა „მკვლელის“ მთარგმნელს. მწერლის გამორჩეული ადგილი, მნიშვნელობა, მისი თავისთავადობა, აზროვნების განსაკუთრებული სტილი, ბასრი ხელწერა, უჩვეულო სტრუქტურა და ორი ენის სპეციფიკა დიდი და საგულისხმო ბარიერები იყო, რათა დედნის მხატვრული სინამდვილე სწორად ასახულიყო. მიუხედავად ყველაფრისა, მთარგმნელმა შეძლო ტექსტის შინაარსობრივ მხარესთან ერთად შეენარჩუნებინა დედნის საერთო სტილისტური სახე, მისი ინტონაცია.

ტექსტუალური სიზუსტე მთავარი ღისებაა მზია ებრალიძისეული ნაშრომისა. ზედმინწევნილობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიური ნაწარმოების ზოგიერთი ეპიზოდის ინტერპრეტაციისთვის და მთარგმნელიც დიდი მოკრძალებითა და რიდით ეპყრობა თითოეულ წინადადებას. მისი სიფრთხილე ყოველ ფრაზაში იგრძნობა.

1. ნათარგმნის ლექსიკა არაა ღარიბი, მაგრამ ხანდახან ბუნებრიობას ოდნავ მოკლებულია. სპეციალისტთა აზრით, თარგმნისას დასაშვებია ზუსტი ენობრივი შესატყვისის ნაცვლად უფრო ზუსტი მხატვრული შესატყვისის მოძებნა. ამ მეთოდით თავისუფლად გავექცეოდით ზოგიერთ ხელოვნულ ფორმას. მაგ: „*არც სასიძოს და არც მის დას არ დაუნახავთ ეს სასონარკვეთილი თვალთ ნიშნება.*“ - [გვ. 17, II აბზაცი.] „*იკოდა რომ ცხვრებისა და ციკნების უმეტესობა დაიფანტებოდა და დასარწყლელებლად მდინარესთან მივიდოდა*“ – [გვ. 132, I აბზაცი.] ამავე გვერდის ბოლო აბზაცში ნახმარია „ზანზალაკების წკარუნი“ თუმცა ქართული მწერლობისა და ცნობიერებისთვის „ზანზალაკების ჟღარუნი“ უფრო ჩვეული და დამკვიდრებული ფორმაა. ამით იმის თქმა გვინდა, რომ არაერთ ადგილას შესაძლებელი იყო უფრო ბუნებრივი სიტვათშეთანხმებების მოძიება.

ვითვალისწინებთ, რომ ეგზომ დიდტანიან ნაპრომში შეუძლებელია, არ გაიპაროს სტილისტური შეცდომები, მაგრამ ზოგიერთი მათგანის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. მაგალითად, მეხუთე თავის პირველ აბზაცში ნახმარია ფორმა „იქვე კუთხეში მოკუნჭულს“ თუმცა, იქითა მიმართულების ზმნისზედასთან „იქვე“ შესაბამისი „მი“ ზმნისწინი უნდა გამოყენებულიყო.

2. წინამდებარე თარგმანის სინტაქსური წყობა ყოველთვის არ უთანხმდება მშობლიური ენის ბუნებას და არაერთი წინადადება დალაგებულია უცხოური წყობის თანახმად, დედნის სქემით, და ამდენად, ქართველი მკითხველისთვის მთლად ბუნებრივად არ უღერს.

3. კარგად გვესმის რომ მთარგმნელს დიდ სირთულეს შეუქმნიდა ის გარემოება, რომ ბერძნული ენისა და განსაკუთრებით, პაპადიამანდისის სტილისათვის დამახასიათებელია ძალიან გრძელი წინადადება, რომელიც ხშირად დიდ აბზაცს, წიგნის ნახევარ გვერდსაც კი მოიცავს. ქართული ენისთვის არაა უცხო ფრაზის სირთულე, მაგრამ ჩართული წინადადების სიმრავლე არცთუ იშვიათად მთავარ აზრს გვაკარგვინებს, როგორც შემდეგ შემთხვევაში: „მოჩვენებები რას შეაშინებდა როცა საკუთარი ძმის მიტროსისა არ შეშინებია, რომელსაც აგრეთვე მოროსს, ან მუროსს, ან კიდევ მუტროსს ეძახდნენ, თავზე ხელაღებული რომ იყო, დედამისის მესამე ვაჟი, რომელსაც ხადულა, ჩვეულებრივ, „ურჯულო ძაღლს“ უწოდებდა - მასზე სამი წლით უფროსი ძმისა, რომელმაც ერთხელ დანა ჩაართყა, მაგრამ დამ გადაარჩინა, არ მოინდომა ხელისუფლებისთვის მისი ჩაბარება, და მეორედაც დასჭირდა, მას შემდეგ დავისუფალი რომ დარჩენილიყო.“ [გვ.37,II აბზაცი.] ასეთ დროს კარგი გამოსავალი იქნებოდა წინადადების დაქუცმაცება.

4. თუ გრძელ ბერძნულ წინადადებაში ერთი და იმავე ზმნის რამდენჯერმე გამოვრება დიდ შეცდომად არ ითვლება, ქართულში ეს უხემ ტავტოლოგიას იწვევს, ამიტომაც ვიყენებთ სინონიმებს. მთარგმნელს კი 117 გვერდის მეორე აბზაცის ბოლოს სამ ხაზში სამჯერ აქვს გამოყენებული ზმნა: „იცოდა“ „...უკვე მთელმა სამეზობლომ იცოდა მისი კაიქალობის ამბავი,

და შეიძლება იქამდეც კი იყოფა, სანამ მართლა რამე მოხდებოდა, მხოლოდ ბატონმა ანაგნოსტისმა არ იყოფა არაფერი.“

5. მართალია, ბერძნულის პერფექტის სისტემის დროთა ვნებითი გვარის იმპერსინდელიკოსს ქართული ზმნის I თურმეობითი შეესაბამება, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სხვა ფორმით რომ შეცვლილიყო, ნაკლებ მანერულად გაუღერდებოდა: „ამერსა როგორც მოსულიყო ფეხშიშველა, უმსუბუქესი და უხმო ნაბიჯით, ასევე გავიდა, დედამისმა კი იმწამსვე ჩაკეტა კარი:.- [გვ. 37, I აბზაცი]

ზემორე შენიშვნები უმნიშვნელოა იმ შესაშურ და დიდებულ საქმესთან შედარებით, რომელიც მზია ებარლიძემ შეძლო. თარგმანი მწერლის არამხოლოდ იდეოლოგიური მიზანდასახულობის, არამედ მისი სტილის ანარეკლიც გამხდარიყო და მძაფრად გამოკვეთილიყო ბერძენთა ეროვნული გენიცა და მწერლის თვითმყოფადობაც.

წიგნი შესანიშნავია საწინდარია იმისა, რომ ქართული მხატვრული თარგმანება ბერძნული ენიდან კვლავ აღმავლობის გზას დაადგეს. გვჯერა, რომ როგორც ჰაჰადიამნდისის გენიას, ისე მთარგმნელის შემოქმედებით ნიჭს, ქართველი მკითხველის სახით ჭეშმარიტი შემფასებელი და დამფასებელი გამოუჩნდება.

თარგმანი არსებობს! ეს კი იმას ნიშნავს, რომ დიდი ბერძენი მწერლის სილუეტი უსათუოდ დამკვიდრდება ქართულ ცნობიერებაში მის ნაპერწკლიან სიტყვასთან ერთად.

## კაზანძაკისი

ქართველ მკითხველთან თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურაზე საუბრისას ერთ-ერთი აქტუალური თემა ნიკოს კაზანძაკისის შემოქმედებაა.

ნ. კაზანძაკის მიეკუთვნება იმ ბერძენ მწერალთა რიგებს, რომლის შემოქმედებაც არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იმსახურებს. ზოგი აღფრთოვანებულია მისი შემოქმედებით, ზოგი კი პირიქით. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ კაზანძაკის ყველაზე პოპულარულ ბერძენ მწერლად სახელდება და მისი ნაწარმოებები ითარგმნება მსოფლიოს მრავალ ენაზე. ქართველი მთარგმელებიც ინტერესდებიან კაზანძაკის შემოქმედებით, რომელიც სრულიად გამორჩეულია. ასეთი მასშტაბისა და მნიშვნელობის ავტორის თარგმნა მარტივი საქმე ნამდვილად არ არის და დიდ გამოწვევას წარმოადგენს. მკითხველისთვისაც რთულია სავსებით კაზანძაკის ალქმა, მისი შემოქმედების შესაგრძობად ინტელექტუალი მკითხველია საჭირო. აქ საქმე გვაქვს სრულიად ინდივიდუალურ, არქაულ-ბიბლიურ და სახარებისეულ ლექსიკასთან, რთულ და განსხვავებულ ფრაზოლოგიკებთან. კაზანძაკის შემოქმედების თითქმის ყველა უანრში (პოეზია, რომანები, დრამები) აუცილებლად აღმოვაჩინოთ ისეთ ნაწარმოებს, რომელიც ქრისტეს, ან სხვადასხვა დროის ქრისტიან მოღვაწეებს ეძღვნება, მის რომანებში ხშირად შევხვდებით ქრისტიანულ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს. სწორედ ამ მიზეზთა გამო კაზანძაკის შემოქმედების მთარგმნელთათვის ფილოლოგიურთან ერთად რელიგიური და ფილოსოფიური განათლება არანაკლებ საჭიროა.

ქართულად ნათარგმნია შემდეგი ნაწარმოებები:

„ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის“, მთარგმნელი მაია კაკაშვილი, 2015

„ალექსის ზორბასის ცხოვრება“, მთარგმნელი მაია კაკაშვილი, 2018

„უკანსკნელი ცდუნება“, მთარგმნელი თათია მთვარელიძე, 2018

„ასკეზა“, მთარგმნელი თამარ მესხი, 1997

ასკეზა- პირველი ნაწარმოებია, რომლის მეშვეობითაც ქართველი მკითხველი ნ. კაზანძაკის შემოქმედებას გაეცნო. თამარ მესხი კი, ის პირველი მთარგმნელია,

რომელმელიც არ შეუშინდა ნაწარმოების სირთულესა (მას ვერ მივაკუთვნებთ ვერც მხატვრულ ნაწარმოებთა რიგებს და ვერც ფილოსოფიურ ტრაქტატს) და კაზანძაკის ენის მორფო-სინტაქსურ თავისებურებებს და პირველად თარგმნა თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული, განსაკუთრებული და საუკეთესო წარმომადგენლის შემოქმედება. „ასკეზა“, როგორც მწერალი აღნიშნავდა, არის საფუძველი, რომელზედაც დაშენებულია მთელი მისი შემოქმედება. ნაწარმოები მონოლოგის სახითაა დაწერილი. „ასკეზას“ მეორე სახელიც აქვს მას „SALVATORES DEI“ („ღმერთის მხსნელი“) ჰქვია. 1927 წელს ნაწარმოების გამოქვეყნების შემდეგ ნ. კაზანძაკის ბრალი ათეიზმის ქადაგებაში დასდეს. (ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში 2005: 198)

ნ. კაზანძაკის ეს მცირე მოცულობის რომანი საკმაოდ დიდი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ძალის მქონეა. „ასკეზა“ მკითხველს ჩააფიქრებს ადამიანის არსებობასა და მნიშვნელობაზე. როგორც მთარგმნელი შენიშნავს: *„ამ წიგნში სული წერთნის ერთგვარი მეთოდია გადმოცემული“*. [ნ. კაზანძაკის 1997:77] ეს ღრმა ფსიქოლოგიური და რთული დრამა გვიჩვენებს ადამიანის სულის ხსნის გზას. კაზანძაკის შემოქმედების და თანაც ასეთი მნიშვნელობის რომანის თარგმნა ვფიქრობთ, ორმაგად საპასუხისმგებლო და საძნელოა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მხოლოდ ბერძნული ან მშობლიური ენის კარგად ფლობით ვერაფერს გახდები. „ასკეზას“ თარგმნით კარგად ჩანს მთარგმნელის პროფესიონალიზმი, იგი შესანიშნავად იცნობს მწერლის შემოქმედებას, იცნობს და ითვალისწინებს იმ ეპოქას, როდესაც ნაწარმოები დაიწერა, კარგად იცნობს საბერძნეთის ისტორიას. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა „ასკეზას“ თარგმნა ასე წარმატებით, როგორც ეს თამარ მესხმა მოახერხა. ჩანს, რომ მთარგმნელი დიდ სიფრთხილეს იჩენს თითოეულ წინადადებასთან. იგი იცავს დედნის შინაარსობრივ და სტილისტურ სახეს. თარგმანის წაკითხვისას შესაძლოა, ზოგიერთ მკითხველს შეეჩმნას შთაბეჭდილება, რომ მთარგმნელი მოძველებული, არქაული ტერმინებით თარგმნის ტექსტს. მაგალითად, შემდეგი ფრაზები: *„ერთი წყურვილი მაქვს მხოლოდ“*, *„რა იმალება ფენომენტო უკან“*, *„სიხარულს და მწუხარებას ამა ცხოვრებისა“*, *„არა*

ხარ მონა ჩემი და არცა სათამაშო ჩემთა ხელთა“, „ნურათერს შემოინახავ სამერმისოდ“, „რათა გაამყაროს ექსტაზი თვისი“, „ყოველი, რომელიც ცდილობს აღემატოს საკუთარ თავს, გაურბის მცირე, სრულიად უმწეო გონებას თვისას“- გვიტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ამგვარი ლექსიკა დღევანდელი სალიტერატურო ქართულისთვის შეუსაბამოა, თუმცა ასკეზას თარგმნისას მნიშვნელოვანი იყო ტონალობის განსაზღვრა, რასაც შესანიშნავად მიაგნო მთარგმნელმა და თარგმანში გამოყენებული მოძველებული, რელიგიურ-ფილოსოფიური ტერმინები სრულიად შეესატყვისება დედანს და სრულებით არ სძენს თარგმანს ხელოვნურობას. პირიქით, რომანი დახვეწილი სტილითა და გამორჩეული ენითაა ნათარგმნი.

ნ. კაზანძაკისის შემოქმედებიდან ორი მნიშვნელოვანი რომანი: „ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის“ და „ალექსის ზორბასის ცხოვრება“ ქართულად მათა კაკაშვილმა თარგმნა. „ალექსის ზორბასის ცხოვრება“ გასულ წელს ითარგმნა, ხოლო „ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის“ გამოიცა პროგრამა „ლოგოსის“ მიერ 2015 წელს, სერიის - „ახალი ბერძნული ბიბლიოთეკა“ ფარგლებში. ქართველი მკითხველი დიდი ინტერესით ელოდა ამ თარგმანის გამოცემას, რაც მთარგმნელის პასუხისმგებლობას მნიშვნელოვნად ზრდიდა. თუმცა ამ შემთხვევაშიც, მათა კაკაშვილმა ბრწყინვალედ გაართვა თავი რთულ, ასეთ მასშტაბურ და საპასუხისმგებლო საქმეს.

ნიკოს კაზანძაკისის ენა საკმაოდ მდიდარია და მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა. ავტორი იყენებს იდიომურ გამოთქმებს, დიალექტურ ფორმებს, ხან კი ახალი სიტყვებს ქმნის. წინამდებარე თარგმანებში შენარჩუნებულია კაზანძაკისის ენის თავისებურებანი, დაცულია ავტორის სტილი ქართული ენის დაუზიანებლად. არ იქნება გადაჭარბებული თუკი ვიტყვით, რომ კაზანძაკისის ურთულესი ენის მიუხედავად თარგმანები უნაკლოდაა შესრულებული. ისევე როგორც მათა კაკაშვილის სხვა თარგმანებთან აქაც გვეუფლება შეგრძნება, რომ ვკითხულობთ დედანს და არა თარგმნილ ნაწარმოებს. ვფიქრობთ, მთარგმნელის დიდი დამსახურებაა პოეტური პასაჟების ხელშესახებად, ფაქიზად გადმოტანა.

თარგმანში ზოგჯერ შეინიშნება წინადადების ზრდის ტენდენცია, რაც ენებს შორის არსებული განსხვავებებით არის განპირობებული. დედანში მოცემულ ორ წინადადებას, რომელთა შორის სემანტიკური კავშირია და არა გრამატიკული, მთარგმნელი მაკავშირებელი სიტყვით აერთიანებს, მაგალითად:

*„ერთი დილა გამახსენდა, როცა ფიჭვზე პეპლის ჭუჭრი დავინახე.სრორედ იმ წამს კანს არღვევდა და გამოსასვლელად ემზადებოდა. ველოდი, ველოდი, მაგრამ ავვიანებდამე კი მეჩქარებოდა. მაშინ მისკენ დავიხარე და ჩემი ამონასუნთქით გათბობა დავუწყე.ერთი სული მექონდა, როდის გათბებოდა და ბუნების სანინალმდეგო სწრაფი რიტმით თვალწინ სასწაული გადამეშლებოდა. კანი მთლიანად გადაიხსნა და პეპელა გამოჩნდა. მაგრამ არასოდეს დამავინწყდება მაშინ დაუფლებული შიში: დანაოჭებული ფრთები არ იშლებოდა, მთელი სხეულით ცახცახებდა. იბრძოდა ფრთები გაეშალა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მეც ჩემი ამონასუნთქით მის დახმარებას ამაოდ ვცდილობდი. მას მოთმინებით სავსე მომწიფება და მზეში გაშლა სჭირდებოდა, მაგრამ ახლა უკვე ვვიანი იყო. ჩემმა სუნთქვამ პეპელა აიძულა, ნაადრევად, დანაოჭებული, უღლეური გამოსულიყო. მოუმწიფებელი, სასონარკვეთილი შეინძრა და ცოტა ხანში ჩემს ხელის გულზე დალია სული.“ [ნ. კაზანძაკისი 2018:146]*

ნიკოს კაზანძაკისი ენის სირთულის თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანოთ მაგალითები:

*«Η εκκλησία μοσκομύριζε κερί και λιβάνι γυάλιζαν στο τέμπλο τα μεγάλα κονίσματα, οι τοίχοι απο το πλακόστρωτο ως τον τρούλο ήταν στοπισμένοι με αγίους και με πολύχρωμες αγγελικές φτερουγες. Εμπαινες στην παμπάλαιη τούτη βυζαντινη εκκλησια και θαρρουσεσ, βυθίζουσουν σε μια Παράδεισο γεμάτη φανταχτερά πουλια κι αψηλα ισαμε το μποι του ανθώπου λουλούδια κι οι αγγελοι σαν τεραστιες μέλισσεσ, τρυγουσαν απο λουλουδι σε λουλουδι το μέλι. Κι απάνω στον τρούλο, αγριος, απειλητικός, κρέμουνταν, απάνω από τα κεφάλια των ανθρώπων, ο Παντοκράτορας.» [N. Καζαντζάκις 2014: 168]*

„ეკლესია სანთლისა და ასაკმეველის სუნს აფრქვევდა. კანკელზე დიდი ხატები ბრწყინავდა, კედლები ფილებიდან გუმბათამდე წმინდანებითა და ანგელოზის ფერადი ფრთებით მოეხატათ. ამ უძველეს, ბიზანტიურ ტაძარში შესულს, გეჩვენებოდა სამოთხეში მოვხვდიო, რომელიც თვალწარმტაცი ფრინველებითა და ადამიანის სიმაღლის ყვავილებით იყო სავსე. ანგელოზებიც უზარმაზარი ფუტკრებით ყვავილიდან ყვავილზე თაფლს აგროვებდნენ. ზემოთ, გუმბათში, ადამიანთა თავზე, მრისხანე, მუქართ სავსე ყოვლისმპყრობელი იყო გამოსახული.“ [ნ.კაზანძაკისი 2015: 194]

მწერალი მრავლად იყენებს იდიომურ გამოთქმებსა და ანდაზებს:

*Αν σε πιάσουν τα μεράκια σου –კაეშანი თუ მოგეძალა*

*Κόβει το μυαλό του - უჭრის გონება*

*Είναι στα κέφια του -როცა ხასიათზე იყო*

*Τα μάτια του έπεξαν παμπόνηρα - თვალებს აცეცებდა*

*Ξέσπασαν στα γέλια- სიცილი დაიხყეს*

*Έσπασαν στα γέλια -სიცილით გაიგუდნენ*

*Να μην βρίσκουν τον μπελά τους - ხათაბალაში არ გაეხეზნენ*

*Δεν ήταν στα καλά του- ვერ იყო კარვად*

*Μα του κάκου - ამაოლ*

*Λίγα πια ήταν τα καρβέλια του - ცოტა ჰქონდა დარჩენილი ცხოვრების*

*Τον πόνεσε η ψυχή μου- შემეცოდა, შემებრალა*

*Τα μάτια του άστραφταν - თვალები უბრწყინავდა*

*Το αίμα του έβραζε სისხლი აუღულდა*

*Του κόψε τη φόρα- შეწყვეტინა,*

*Του ψήνει το ψάρι στα χείλια - თავის ჭკუაზე ატარებს, ცეცხლის კალოში აყენებს*

*Έβαλες κάτω και το χάρο- სიკვდილი დაამარცა*

Ένας κόμπος είχε καθίσει στο λεμό του-ტიρნილი μοანვა  
Πέτουσε από τη χάρρα του- სიხარულიσζან დაფრინავდა  
Κόψει τη σιωπή- ვაფანტა სიჩუმე  
Τον πήρε ο ύπνος- ჩαქობა  
Ο νούς του έκαμε φτερά- სხვავან ქრის მისი ვონება  
Η καρδιά του έλιωσε, να δώσουμε χέρι- დავეხმაროთ  
Να μην πουλάς τον κούκο για აηδόνι- ნუ ჰყიდი ძვირად  
Πήρε κουράγιο- ძალა მოიკრიბა  
Τα ύστερα του κόσμου- ეშმაკმა დალახვროს  
Κάνε μας το χατήρι- ხათრი ვავვინიე  
Πήρε φωτιά- ვაცეცხლდა, ვაბრახდა  
Πეტσί και κόκαλο- ვაძვალტყავდა  
Πλένω, ξεπλένω τα χέρια μου- ხელეებიც დაშიბანია  
Κατάπτε τη γλώσσα του- ენა ჩაყლაპა  
Δεν θα γίνουμε რეჯილი- არ შევრცხვებოთ  
Μας έβγαλες ασπρόπροσωπους- სუფთები გამოვვიყვანე  
Έκλεισε το μάτι- თვალი ჩაუკრა  
Σφίξε τη ζώνη- ვაიჭირვა, ქამარს მოუჭირე  
Μα πάνω κάτω- დაახლოებოთ  
Το μυαλό του σάλειψε- ვავიჟდა, ტვინი აერია  
Ο νούς του ήταν βαθισμένος σε συλλογή- ფიქრობდა  
Ανάβει το αίμα μου- ვავბრახდი  
Σπάζω το κεφάλι μου- ვიბტვრევ თავს  
Πετούσαν φωτιές- ანათებდა  
Γλιτώσαμε με τη δύναμη του θεού- ვადავრჩით  
Η ώρα η καλή- ვეთილი იყოს თვექენი მობრძანება

*Θα κάνουμε χάζι - თავი მოვიღებოთ*  
*Να βάλω τάξι- დავაძვარო წესრიგი*  
*Αναψαν ολα του τα καντήλια- ვალეშილი მთვრალია*  
*Είναι μεγάλος μπελάς ღირი პრობლემა*  
*Άνοιξε το στόμα- დაიხყო ლაპარაკი*  
*Να τα βγάλουμε πέρα- ვავვიმართლოს*  
*Πέφτει στο μετρικό- საბედისწერო*  
*Θα σε φάω- ვავანადგურებ*  
*Θα φας τον κόσμο- მთელ სამყაროს შევანუხებ, ვავანადგურებ*  
*Θα ρίξουμε πάλι ρίζες- ფესვებს ვავიღვამ*  
*Να μου κάμεις χαμπარი- ვამავებინე*  
*Έριξε άγρια κυκλική ματιά- თვალებს აცეცებდა*  
*Πήρε το αυτί του- ყური მოჰკრა*  
*Έχω τα μάτια μου τέσσερα- ყურადღებით ვარ*  
*Η ψιλή κουβέντα στους αίωνες των αίωνων -მასლაათი უკუნითი უკუნისამდე*  
*Και τον πίνει το αίμα- მას სისხლს სწოვს*  
*Ο θεός να βάλει το χέρι- ღმერთმა ხელი მოვვიმართოს*  
*Κατάπτε τη γλώσσα του - ენა მუცელში ჩაივდო*

ეს გახლავთ იმ იდიომური გამოთქმებისა და ანდაზების მცირე ჩამონათვალი, რომელსაც ნ. კაზანდაკისი იყენებს რომანში. არაა ასეთი იდიომატიზმების თარგმნა ასეთი მარტივი, როგორ მსუბუქადაც იკითხება და ქართული ენისთვის როგორ ორგანულადაც გამოაქვს მთარგმნელს. იგი თითქმის ყოველთვის ახერხებს დედანში მოცემული გამოთქმისათვის სწორი შესატყვისის მოძიებას. მ. კაკაშვილი თარგმანში იყენებს ორიგინალში მოცემული ანდაზებისა და იდიომატიზმების მხატვრულ თარგანებს და არა მათ ანალოგებს. ამ

მიღვომით თარგმანებში შენარჩუნებულია ქართული ენის სტილი და ბუნებრიობა. მაგალითად, შემდეგი ანდაზა: *Ο κόρακας να γίνει περιστέρι* მთარგმნელს ასეთი ფორმით გადმოაქვს: *არ გათეთრდების ყორანი*.

ვინაიდან კაზანძაკისის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი როლი უკავია სიზმრის ტენომენს, მაგალითად მოვიყვანოთ რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის სიზმარი:

«Έβαλε τα θάρρη του στο Θεό, παρηγορήθηκε λίγο. Έκλεισε τα μάτια, κι είδε όνειρο, πως ήρθε, λέει, μια μαυροφόρα, , θα ήταν η Παναγία, κι έσκυψε απάνω του και του χάδεψε αργά, απαλά, το πρόσωπο κι ευτυχ το πρόσωπο δροσίστηκε, αλάφρωσε, κι ο Μανολιός απλωσε τα χέρια, άρπαξε το θαματοურγο χέρι κι ήθελε να το φιλήσει μα ενα γάργαρο περιπαιχτικό γέλιο ακούστηκε, έπεσεο μαύρος πέπλος, κι ο Μανολιος έσυρε φωνή και ξύπνησε. Δεν ήταν η Παναγία, ήταν η χήρα...» [N. Καζαντζάκις 2014: 156]

“ღმერთზე დაიმედებული ოდნავ ნუგეშს მიეცა. თვალები დახუჭა და ეზმანა, თითქოს მოვიდა ერთი შავოსანი, ღვთისმშობელი იქნებოდა, მისკენ დაიხარა და სათუთად მოეფერა სახეზე. მყისვე გაუგრილდა, შეუმსუბუქდა სახე. და გაიწოდა მანოლიოსმა ხელები, სასწაულმოქმედ ხელს შეეხო. ამბორისყოფა სურდა მისი. მაგრამ მორაკრაკეს დამცინავი სიცილი გაისმა, ჩამოვარდა შავი მოსასხამი, შეჰყვირა მანოლიოსმა და გაეღვიძა. ეს ღვთისმშობელი არ იყო, ქვრივი იყო.” [ნ. კაზანძაკისი 2015: 164]

ამ შემთხვევაში, ქართულისთვის უფრო მეტად ახლობელი იქნებოდა მთარგმნელს რომ გადმოეტანა მოხარხარე სიცილი. ვინაიდან განსაზღვრება - *მორაკრაკეს* გამოყენება უფრო მართებული იქნება ნაკადულთან, წყაროსთან მიმართებით.

კაზანძაკისის შემოქმედების ქართულ თარგმანებზე საუბარი დავასრულოთ რომანით - „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“. ალბათ ყველაზე სკანდალური და ანტიქრისტიანული სახელი მქონე ნაწარმოები მწერლის შემოქმედებიდან. როგორც ცნობილია, ეკლესია მუდმივად უპირისპირდებოდა მწერალს, თუმცა ამ ნაწარმოების გამოქვეყნების შემდეგ

დადგა კაზანძაკის ანათემაზე გადაცემის საკითხი. „უკანასკნელი ცდუნების“ დევნა ღღესაც გრძელდება, იგი განსაკუთრებით გააქტიურდა რომანის მიხედვით შექმნილი მარტინ სკორცეზეს ფილმის გამოსვლის შემდეგ. რომანი „უკანასკნელი ცდუნება“ ნ. კაზანძაკისმა 1951 წელს დაასრულა და პირველად რომანი ქვეყნდება არა საბერძენთში, არამედ 1952 წელს სტოკჰოლმში შვედურ ენაზე, თარგმანი შეასრულა ბ. კნოსმა. ამავე წელს, ე. ოსლოში გამოიყვანა რომანის ნორვეგიული თარგმანი ა. აკსელსონის მიერ შესრულებული. ბერძნულ ენაზე რომანი გამოდის 1955 წელს. (<https://www.kazantzaki.gr/gr/muthistorima/o-teleutaios-peirasmos-144>) ქართულ ენაზე რომანი ითარგმნა თათია მთვარელიძის მიერ. რომანი გამომცემლობა „ინტელექტმა“ „აკრძალული წიგნების“ სერიით გამოსცა 2018 წლის ივნისის თვეში. თათია მთვარელიძის არაჩვეულებრივ პოეტურ თარგმანებზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება პროზას - „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“ მთარგმნელის მეორე პროზაული ნაწარმოებია. პირველად მან თარგმნა მცირე რომანი - დ. დიმიტრიადისის „ვკვდები, როგორც ქვეყანა“, რომელზეც ზემოთ უკვე შევაჩერეთ ჩვენი ყურადღება. სათარგმნად ნ. კაზანძაკისის ამ რომანის არჩევა ერთი მხრივ, რთული ენობრივი ატმოსფეროს გამო, ხოლო მეორე მხრივ, მკითხველის არაერთგვაროვანი დამოკიდებულების გამო, ძალიან დიდი ძალას, გამბედაობასა და სითამამეს მოითხოვს. მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც დიდი მოლოდინი იყო ამ წიგნის მიმართ. ნაწარმოების ქართულ თარგმანს მართლაც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. რომანმა, ზოგი აღფრთოვანდა, ზოგი კი პირიქით. ქართული ეკლესიის მხრიდანაც მოჰყვა თარგმანს კრიტიკა. მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსიმა მიმართა მორწმუნე საზოგადოებას და მოუწოდა თავი შორს დაეჭირათ ამ მკრეხელური ლიტარტურიდან, რომელშიც დამახინჯებულადაა აღწერილი იესო ქრისტეს ჭეშმარიტი სახე. *„ეს წიგნი არის ღვთის მგმობელი და მკრეხელური შინაარსის, რომელიც შეურაცხყოფს, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანულ სწავლებას, ისე მორწმუნე ადამიანს. დაე, ნუ დაიდებს ბინას ჩვენს სახლებში ეს სატანის სულით გაჟღენთილი წიგნი, რომელსაც შეუძლია ჩვენს მოზარდებს დაუმახინჯოს ცნობიერება და ცოდნა, ჭეშმარიტი*

მესიის- ქრისტეს შესახებ. “მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა განათლებული ქართველი მკითხველის უმრავლესობამ წიგნი დიდი ინტერესით მიიღო.

რაც შეეხება თავად თარგმანს, თათია მთვარელიძემ ამ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს იდეალურად გაართვა თავი. ეს არის მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული თარგმანი, რომელიც წაკითხვის დროსაც მკითხველს ეუფლება შეგრძნება რომ დედანში კითხულობს ნაწარმოებს. მთარგმნელი იცავს მისთვის ჩვეულ ესთეტიკურობას და კომფორტულად აგრძობინებს მკითხველს თავს. იგი თარგმანში შლის ზღვარს მკითხველსა და ავტორს შორს და აგებს ხიდს მათ დასაკავშირებლად. უდავოა, მთარგმნელს უამრავი ცნებისა თუ ფაქტიზი ნიუანსობრივი დეტალებისთვის ზუსტი შესატყვისების დასაძებნად დიდი შრომა აქვს განუელი.

მოვიყვანოთ მაგალითი ნაწარმოებიდან:

*“და წამიერად, ძილში ეჩვენა: თითქოს მდინარე იორდანიდან გამოვიდა, ჯერაც ნაბიჯმიუკარებელ, მწვანე ბილიკს გაუყვა და ყვავილებით აჭრელებულ მდელოს მიაღვა. და იესო კი აღარ იყო - მარიას ძე, ნაზარეთიდან, თითქოს უკვე პირველქმნილი ადამი იყო. ეს- ესაა შექმნილიყო ღმერთის ხელით, მისი სხეული ჯერ კიდევ რბილი თიხა იყო და აყვავებულ მინდორში, მზეზე გასაშრობად მიწოლილიყო, რათა ძვლები გამაგრებოდა, სახეს ფერი დასდებოდა, მისი სხეულის ყველა სახსარი მომართულიყო, რომ ადვომა და სიარული შეძლებოდა. და როცა თავად ასე, გასაშრობად იწვა მზის გულზე, უცებ ჩიტები აფრთხილდნენ მის თავს ზემოთ - ხიდან ხეზე დაფრინავდნენ, სავაზაფხულო მდელოზე დასეირნობდნენ, ერთმანეთთან საუბრობდნენ და ჭიკჭიკებდნენ, მოლზე მიწოლილ, ამ უცნაურ, ახალ ქმნილებას უყურებდნენ და აკვირდებოდნენ, სათითაოდ მიდიოდნენ, რაღაცას ეუბნებოდნენ და ისევ უკან მიფრინავდნენ.*

*ესიზმრა, თითქოს მას ჩიტების ენაც ესმოდა, უხაროდა მათი მოსმენა: ფარშევანგმა კული ამაყად გაშალა და მედიდურ სეირნობას მოჰყვა, მაცდურ მზერას სტყორცნიდა ძირს განოლილ ადამს და უხსნიდა: „ფრინველი ვიყავ, ერთი ანგელოზი შემეყვარდა და*

ფარშევანგად ვიქეციო. განა არსებობს ჩემზე უფრო ლამაზი ჩიტი? არ არსებობს!“ იქვე გვრიტი ხიდან ხეზე გადაფრთხილდა, ყელი ცისაკენ მოიღერა და მოჰყვა ძახილს: „სიყვარული! სიყვარული! სიყვარული!“ მერე შაშვმაც შემოსძახა: „ყველა ჩიტს შორის, მხოლოდ მე ვარ, საშინელ ყინვაშიც კი რომ ვჭიკჭიკებ და ასე ვთბები!“ და მერცხალმაც: „მე რომ არ ვიყო, ხეებიც ხომ არასოდეს აყვავდებოდნენ!“ და მამალმა: „მე რომ არ ვიყო, ვერასოდეს გათენდებოდა!“ იქვე ტოროლამ: „დილით ცაში რომ ავდივარ, ჩემს ბარტყებს ვემშვიდობები, რადგან არ ვიცი სიმღერისაგან ცოცხალი თუ გამოვბრუნდები!“ და ბულბულმაც: „ასე ნუ მიმზერ, მერე რა, რომ ღარიბულად მაცვია ახლა. მეც დიდი ფრთები მქონდა, მბრწყინავი ფრთები, მაგრამ ისინი მე გალობად გარდავქმენი“. ყვითელნისკარტა შავი შაშვიც მოფრინდა, პირველქმნილს მხარზე დაასკუპდა და თითქოს რაღაც დიდ საიდუმლოს გაანდობსო, ყურში ჩუმად ჩასჩურჩულა: „გვერდიგვერდ არის სამოთხისა და ჯოჯობეთის კარიბჭეები. და ორივე ერთნაირია - ორივე მწვანე და ორივე მშვენიერი. გახსოვდეს, ადამ! გახსოვდეს, ადამ! გახსოვდეს, ადამ!“ და ამ დროს, შაშვის საუბრისას გამოეღვიძა. თენდებოდა. ...” [ნ.კაზანდაკისი, 2018: 354]

ნ. კაზანდაკისის ნაწარმოებთა ქართულენოვანი თარგმანების ანალიზისა და ორიგინალთან შედარების საფუძველზე შეგვიძლია გადაუჭარბებლად ვთქვათ, რომ თითოეული თარგმანი შესრულებულია ქართული ენის დაუზიანებლად. თარგმანებში მაქსიმალურადაა შენარჩუნებული ავტორი წერის სტილი და მანერა. თარგმანებში ვერ ვხვდებით ჩამატებულ ადგილებს (ინტერპოლაციებს) და თითქმის არ გვხვდება შეკვეცილი ან გამოტოვებული ადგილები ე.წ. კუპიურები. ნაწარმოებთა კომპოზიცია თარგმანებშიც დედნის შესაბამისად გადადის.

მცირეოდენი ხარვეზები შეინიშნება:

- თავად ავტორის მიერ შექმნილი ლექსიკური ერთეულების თარგმანში გადატანის დროს. ნ. კაზანდაკისი ხშირად იყენებს ლექსიკურ ერთეულებს არქაული და

დიალექტური ლექსიკიდან, რაც დედანში ფრაზის ემოციურობასა და ექსპრესიულობას ზრდის. სამწუხაროდ, ანალოგიური ეფექტის მიღება თარგმანში ზოგჯერ ვერ ხერხდება.

- განსაკუთრებით თვალშისაცემია თამარ მესხის თარგმანში არსებული ისეთი მორფოლოგიური შეცდომები როგორცაა: *თვითთეული, რამოდენიმე, განთავისუფლდი, ერთის მხრივ, მეორეს მხრივ...* რაც დღესდღეობით თანამედროვე ქართული გრამატიკის სტანდარტების მიხედვით უპატიებელ შეცდომებად არის მიჩნეული, თუმცა, ვფიქრობთ, მთარგმნელი ტექსტის შინაასრობრივ მხარეს აქცევს მეტ ყურადღებას, ვიდრე ტექსტის მორფო-სტილისტურ გამართულობას.

ზემოჩამოთვლილი შენიშვნები უმნიშვნელოა იმ უდიდეს შრომასთან შედარებით, რომელიც ქართველმა მთარგმნელებმა გასწიეს. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ დღეს, განათლებულ ქართველ მკითხველს შეუძლია ისაუბროს თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის გამორჩეულ წარმომადგენელზე, ნ. კაზანძაკისზე და მის შემოქმედებაზე.

## დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ აღგვეჩვენებინა ერთიანი სურათი ახალი ბერძნული ენიდან ქართულად თარგმნისა. დღესდღეობით იშვიათია ისეთი ნაშრომები, სადაც დედნისა და თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე შეფასდებოდა ამა თუ იმ მთარგმნელის ღვაწლი. ამ დროისთვის ქართველი მთარგმნელების მიერ ახალი ბერძნულიდან ძირითადად ნათარგმნია ის ნაწარმოებები, რომლებიც ბერძნული ლიტერატურის კლასიკადაა მიჩნეული ან უკვე მრავალ ენაზეა ნათარგმნი და ბესტსელერად მიიჩნევა. თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის თარგმნის სფეროში, ზოგიერთმა მთარგმნელმა ღირსეულად გაართვა თავი ამ რთულ სამუშაოს. შექმნა ისეთი თარგმანები, რომლებმაც უკვე დაიმკვიდრეს თავი ქართულენოვან სივრცეში. ზოგიერთ თარგმანში კი მცირედი გადაცდომები შეინიშნება, თუმცა ამ გადაცდომებისა და უზუსტობების აღმოფხვრა დროთა განმავლობაში შესაძლებელია. თარგმანის შეფასება ხომ საზოგადოების ლიტერატურულ გემოვნებაზეა დამოკიდებული. დროთა განმავლობაში იცვლება შეხედულებები, თარგმანი, რომელიც ერთ დროს აკმაყოფილებდა საზოგადოების ესთეტიკურ მოთხოვნებს ახლა, შესაძლებელია, მიუღებელი იყოს იმავე საზოგადოებისთვის, ამიტომაც დგება მისი განახლების საჭიროება. ასეთ დროს იქმნება უკვე ნათარგმნი ტექსტის გაუმჯობესებელი ვარიანტი, რომელიც არსებული ლიტერატურული საზოგადოების ესთეტიკური მოთხოვნების შესაბამისია. პროფესიონალ მთარგმნელად ჩამოყალიბებას წლები და ძალიან დიდი მუშაობა სჭირდება. ვფიქრობთ, ახალი ბერძნული ლიტერატურის ის თარგმანები, რომლებშიც მცირე უზუსტობებია, ახლა რომ გადამუშავდეს იმავე მთარგმნელების მიერ, სრულიად შესაძლებელია, რომ უკეთესი შედეგი მივიღოთ.

თუმცა ყოფილა შემთხვევები, როდესაც თარგმანის განახლებულ ვარიანტს ფილოლოგთა, კრიტიკოსთა, ლიტერატურის მოყვარეთა უარყოფითი შეფასებაც დაუმსახურებია.

გვინდა აქვე აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიზანს არ წარმოადგენდა თარგმანებში არსებულ უზუსტობათა და შეუსაბამობათა საგულდაგულოდ აღნუსხვა. გვსურდა, ერთ ნაშრომში მოგვეყარა თავი ახალი ბერძნული ენიდან ამ დროითვის არსებული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი თარგმანისთვის და წარმოგვედგინა მათი მცირე მიმოხილვა.

თარგმანების რაოდენობა ნათელჰყოფს, რომ ახალი ბერძნული ფილოლოგიის მიმართულება, აქტიურადაა ჩართული მთარგმნელობით სფეროში. ვინაიდან მიიჩნევა, რომ თარგმანი არის ერთგვარი ვიზა, ნაწარმოების ღროსა და სივრცეში სამოგზაუროდ, გვინდა იმედი გამოვთქვათ, რომ ახალი ბერძნულიდან ჩვენი კათედრის მიერ უკვე არსებული ან მომავალში განხორციელებული თარგმანები, წარმატებით დაიმკვიდრებენ თავს ქართულენოვან სივრცეში.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაშვილი მ., ჭყოიძე ე., ბერძნული იდიომები და გამოთქმები ქართულად, თბილისი, ლოგოსი, 2017, 98 გვ.
2. აბულაშვილი მ., ბერძნული ხალხური სატრფიალო სიმღერები, თბილისი, ლოგოსი, 1999, 28 გვ.
3. აბულაშვილი მ., „ნეოგრეცისტიკა საქართველოში - პრობლემები და პერსპექტივა“ თბილისი, ლოგოსი, 2007, 26-32 გვ.
4. გაჩეჩილაძე გ., მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 17-19, 25, 38 გვ.
5. გორდემიანი რ., ანტიკური ლიტერატურა, თბილისი, ლოგოსი, 2005, 274 გვ.
6. დიმიტრიადისი, დ., ვკვდები როგორც ქვეყანა, თარგმანი თათია მთვარელიძის, თბილისი, ლოგოსი, 2015 7, 26 გვ.
7. დიმულა კ., შავი ჰალსტუხი, თარგმანი თათია მთვარელიძის, თბილისი, ლოგოსი, 2017
8. ელიტისი ო., შვიდი დღე მარადისობისთვის, ახალბერძნულიდან ბნკარედული თარგმანი, წინასიტყვაობა და შენიშვნები მაია კაკაშვილისა, თბილისი, ინტელექტი, 2015, 20 გვ.
9. ელიტისი ო., ლექსები, ახალბერძნულიდან თარგმნა ხათუნა მონიავამ, თბილისი, დიოგენე, 1998, 20 გვ.
10. კავაფისი კ., კედლები, თბილისი, ლოგოსი, 1999, 53 გვ.

11. კავაფისი კ., სულის სახლში, ახალბერძნულიდან თარგმნა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო იზა ორჯონიკიძემ, თბილისი, ლოგოსი, 2005, 17 გვ.
12. კაზანძაკისი ნ., ალექსის ზორბასის ცხოვრება, თბილისი, დიოგენე, 2018, 146 გვ.
13. კაზანძაკისი ნ., ქარისტე კვლავ ჯვარს ეცმის, თბილისი, ლოგოსი, 2015, 30, 44, 164, 194 გვ.
14. კაზანძაკისი ნ., ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება, თარგმანი თათია მთვარელიძის, თბილისი, ინტელექტი, 2018, 354 გვ.
15. კაზანძაკისი ნ., ასკეზა, თარგმანი თამარ მესხის, თბილისი, 1997, 20- 25, 32-33, 73-77 გვ.
16. კეკელიძე კ., მთარგმნელობითი მეთოდი ძვ. ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი, თბილისი, 1951
17. მახაური ტ., ხალხური პოეზიის ანთოლოგია, თბილისი, მემკვიდრეობა, 2010, 96 გვ.
18. მერაბიშვილი ი., თარგმანი, კულტურათა დიალოგი, თბილისი, 2005, 5-8 გვ.
19. მერაბიშვილი ი., პოეტური თარგმნის ლინგვისტიკა, თბილისი, 2005, 7-10, 34-35, 312 გვ.
20. მონტისი კ., ლექსები, თბილისი, ლოგოსი, 2006, 119 გვ.
21. ორჯონიკიძე ი., გიუმაჟი ბროწეული, თბილისი, ლოგოსი, 1999, 92 გვ.
22. პაპადიამანდისი ა., მკვლელი, თბილისი, 2001, 17-37-111-138 გვ.
23. საყვარელიძე ნ., თარგმანის თეორიის საკითხები, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001, 3-13, 60-61 გვ.
24. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი, მერანი, 1979, 141 გვ.
25. სეფერისი გ., შემობრუნება, ახალბერძნულიდან ბზკარედული თარგმანი, წინასიტყვაობა და შენიშვნები მაია კაკაშვილისა, თბილისი, ინტელექტი, 2015, 35 გვ.
26. ფანჯიკიძე დ., თარგმნის თეორია და პრაქტიკა, თბილისი, განათლება, 1988, 58-63 გვ.
27. ფანჯიკიძე დ., ენა, თარგმანი, მკითხველი, საგამომცემლო სახლი თბილისში, 2002, 186-187 გვ.

28. წიბახაშვილი, გ., თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000, 16-19, 34-35 გვ.

29. ჰორაციუსი, პოეტური ხელოვნებისათვის, ლათინურიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო აკაკი ურუშაძემ, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1981, 19 გვ.

30. Δημητριάδης Δ., Πεθαίνα σαν Χώρα, Εκδοσεις Σαιξπηρικον, 2010, σ.26-27

31. Καζαντζάκις Ν., Ο Χριστός Ξανασταυρώνεται, Αθήνα, Εκδόσεις Εθνός Α.Ε., 2014, σ.168

32. Καζαντζάκις Ν., Ο Τελευταίος Πειρασμός, Αθήνα, Εκδόσεις Εθνός Α.Ε., 2014, σ.112

33. Рецкер, Я. И., Теория перевода и переводческая практика, Москва, 2007, 10- 13

#### **გამოყენებული ანთოლოგიები, სტატიების კრებულები, ლექსიკონები:**

ევროპული ღირებულებები და ევროპული იდენტობის იდეა, ზ. ქარუმიძე, ლოგოსი, 2017, 116 გვ.

თანამედროვე ბერძნული პოეზიის ანთოლოგია, თბილისი, ლოგოსი, 2007, 65, 78-79, 96, 201 გვ.

თანამედროვე ბერძნული მოთხრობის ანთოლოგია, თბილისი, ლოგოსი, 2003, 28, 112, 133 გვ.

ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში, თბილისი, ლოგოსი, 2005, 198 გვ.

ქართულ ენაზე 1991 წლიდან მიმდინარე მთარგმნელობითი პროცესის მიმოხილვა

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1955, IV, 340 გვ.

#### **ინტერნეტ-რესურსები:**

Schleiermacher F., ÜBER DIE VERSCHIEDENEN METHODEN DES ÜBERSETZENS <http://transstar-europa.com/friedrich-schleiermacher-uber-die-verschiedenen-methoden-des-ubersetzens/>

[https://www.jstor.org/stable/44306704?seq=1#metadata\\_info\\_tab\\_contents](https://www.jstor.org/stable/44306704?seq=1#metadata_info_tab_contents)

<https://www.kazantzaki.gr/gr/muthistorima/o-teleutaios-peirasmos-144>

<http://www.enl.auth.gr/translation/PDF/Mantzouranis.pdf>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Greco-Roman philology

Ramishvili Lana

Georgian Translations of Modern Greek Literature

The Work is done for MA Academic Degree of Greco-Roman philology

Supervisor: Medea Abulashvili,

PhD of Humanities Studies

**Tbilisi**

**2019**